შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№5 (9.814)
17 – 24 თებერვალი 2018 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

სკოლების ინფრასტრუქტურა მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში გადადის

გვ.3

გვ.3

მერმა პოლონელ ექსპერტს უმასპინძლა

წელს საატესტატო გამოცდები შეცვლილი ფორმატით ჩატარდება

გვ.3

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 100 წლისაა

გვ.5

მცირე მეწარმეებისთვის გადასახადი 5-ჯერ შემცირდა

გვ.3

გვ.5

გიორგი ნატროშვილი: „შინაგანად მაინც ოპტიმისტი ვარ...“

„ეს ჩვენი უფლებაა“...

გვ.8

გვ.6

2017 წელს პროფესიული პასუხისმგებლობა 300 ექიმს დაეკისრა

მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე ქართულ დელეგაციას გიორგი კვირიკაშვილი ხელმძღვანელობს

მიუნხენის უსაფრთხოების 54-ე კონფერენციაზე, რომელიც 16-18 თებერვალს გაიმართება, ქართულ დელეგაციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ხელმძღვანელობს.

როგორც მთავრობის ადმინისტრაციაში აცხადებენ, მთავრობის მეთაური მონაწილეობას მიიღებს უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში.

სამუშაო ვიზიტის განმავლობაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი მაღალი დონის ორმხრივ შეხვედრებს გამართავს, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მდივანთან ჯეიმს მატისთან, ევროკომისართან ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოებაზე მოლაპარაკებების საკითხებში იოჰანეს ჰანთან და სხვა პოლიტიკურ ლიდერებთან. ასევე, დაგეგმილია საქართველოს მთავრობის წევრების ორმხრივი შეხვედრები.

პრემიერ-მინისტრი მონაწილეობას მიიღებს სეციალურად საქართველოსადმი მიძღვნილ ღონისძიებაში „ქართული პოლიტიკა და ლიტერატურა“, რომელიც მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის თანაორგანიზებით იმართება.

მიუნხენის უსაფრთხოების 54-ე კონფერენციის ფარგლებში, გიორგი კვირიკაშვილი ასევე შეხვედრას გამართავს ბიზნესის წარმომადგენლებთან.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე, თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვახტანგ გომელაური და პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში თედო ჯაფარიძე არიან.

ირაკლი კობახიძე — აშშ-ს მხრიდან საქართველოს მხარდაჭერა არის ძალიან მყარი

აშშ-ს მხრიდან საქართველოს მხარდაჭერა არის ძალიან მყარი, - ასე აფასებს აშშ-ში ვიზიტს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე.

როგორც კობახიძე აცხადებს, აშშ-ს მხრიდან ძალიან პოზიტიური დამოკიდებულება იგრძნობა იმ ცვლილებების და რეფორმების მიმართ, რომელიც საქართველოში ხორციელდება და ეს ძალიან დიდი ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

„მყარ მხარდაჭერაში მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როდესაც შედგა ჩემი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. გვქონდა ჩვენ შეხვედრა სენატორებთან, კონგრესმენებთან, ანალიტიკურ ცენტრებთან, სხვა მხარდამჭერებთან ჩვენი ქვეყნის ამერიკის შეერთებულ შტატებში და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, რომ საქართველოს მიმართ მხარდაჭერა არის ძალიან მყარი, ძალიან პოზიტიური დამოკიდებულება იმ ცვლილებების და რეფორმების მიმართ, რომელიც ხორციელდება საქართველოში და ეს იძლევა ძალიან დიდი ოპტიმიზმის საფუძველს იმასთან დაკავშირებით, რომ კიდევ უფრო გაღრმავდება ჩვენი ორმხრივი ურთიერთობები. 2017 წელი იყო, ნამდვილად, შესანიშნავი წელი ჩვენი ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით და ასეთი ტემპით გვინდა გავაგრძელოთ მუშაობა“,- განუცხადა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს.

2017 წელს პროფესიული პასუხისმგებლობა 300 ექიმს დაეკისრა

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო რეგულირების სააგენტოს ინფორმაციით, გასული წლის განმავლობაში პროფესიული პასუხისმგებლობა 300 ექიმს დაეკისრა. შესაბამისი ინფორმაცია სააგენტოდან "ინტერპრესნიუსმა" გამოითხოვა. ინფორმაციის თანახმად, 207 ექიმს მიეცა "წერილობითი გაფრთხილება", სერტიფიკატის მოქმედება სხვადასხვა ვადით კი 93 ექიმს შეუჩერდა.

"სააგენტოს უფროსის ბრძანების საფუძველზე, პაციენტთათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხის შესწავლა დაწყებულია 170 შემთხვევაში. პროფესიული განვითარების საბჭომ განიხილა 305 ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობა: 2 ექიმს არ დაეკისრა პროფესიული პასუხისმგებლობა; 3 ექიმის საკითხის განხილვა გადაიდო სამართალდამცავი ორგანოებიდან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის შემდეგ. 300 ექიმს დაეკისრა პროფესიული პასუხისმგებლობა. აქედან, 207 ექიმს მიეცა "წერილობითი გაფრთხილება"; სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება, სხვადასხვა ვადით, შეუჩერდა 93 ექიმს", - ნათქვამია სამედიცინო რეგულირების სააგენტოს ინფორმაციაში.

ქართველები ნამდვილად სანდო პარტნიორები არიან," — გერმანიის თავდაცვის მინისტრი

ბრიუსელში ნატოს თავდაცვის მინისტერიალი მიმდინარეობს. შეხვედრაზე განიხილავენ იმ საკითხებს, რომლებიც სავარაუდოდ, ალიანსის სამიტის დღის წესრიგში შევა. მინისტერიალის ფარგლებში კონკრეტულად საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებზე არ იქნება საუბარი, თუმცა ნატოს სამიტთან დაკავშირებით, რომელიც ზაფხულში გაიმართება განცხადებები გააკეთეს სხვადასხვა ქვეყნის თავდაცვის მინისტრებმა.

გერმანიის თავდაცვის მინისტრი ურსულა ფონ დერ დეიენი ამბობს, რომ გერმანიის მხარეს, საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან ძალიან კარგი თანამშრომლობა აკავშირებს.

„შეუძლებელია იმის დავიწყება, როგორ დაგვიდგნენ გვერდში ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში, როდესაც ჩვენს საკონსულოზე თალიბანმა თავდასხმა განახორციელა. ამისთვის უაღრესად მადლიერი ვართ. ქართველები ნამდვილად სანდო პარტნიორები არიან და ყოველთვის დახმარების ხელს გიწვდიან. შესაბამისად ამ თემებს აუცილებლად დავაყენებთ სამიტზე," - განაცხადა ურსულა ფონ დერ დეიენიმ.

განცხადება გააკეთა სლოვაკეთის თავდაცვის მინისტრმა პეტერ გაიდოვსიმაც.

„საქართველოს ჩვენი ძლიერი მხარდაჭერა აქვს, რადგან ჩვენი კარგი მეგობარია. კარგად მიმდინარეობს შეიარაღებული ძალების გაძლიერებისა და მოდერნიზების პროცესი. გარდა ამისა, თქვენი ქვეყანა სერიოზულ პარტნიორობას გვიწევს ავღანეთისა და ერაყის მისიებში. ყველა მოკავშირე მადლიერია იმ დიდი სამუშაოებისთვის, რაც ქართველებმა შეასრულეს," - პეტერ გაიდოსიმ.

უკრაინის ელჩი ნატოში, ვადიმ პრისტაიკო ამბობს, არსებობს მოლოდინები იმის შესახებ, რომ საქართველო და უკრაინა ნატოს წევრები გახდებიან.

„ნატოსთან უკვე გვაკავშირებს გაძლიერებული თანამშრომლობა. საქართველოს აქვს უკვე ასპირანტი ქვეყნის სტატუსი და ველით, რომ უკრაინასაც მიანიჭებენ," - აცხადებს ვადიმ პრისტაიკო.

განცხადება გააკეთა სამხედრო ექსპერტმა პაველ ფელგენგაუერიმ.

„დღეს ვერავინ იტყვის, რომ ნატოს ხელმძღვანელობაში კონსესუსი არსებობს გაფართოებაზე, რადგან ჯერ გაურკვეველია როგორ განვითარდება რუსეთთან ურთიერთობა. არავინ იცის დაიძაბება თუ განიმუხტება. პირველ რიგში სწორედ ამას მიაქცევენ ყურადღებას," - განაცხადა პაველ ფელგენგაუერმა.

ბრალს აღიარებს

ამირან (ბუტა) რობაქიძის საქმეზე ბრალდებული, თბილისის კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი ზაზა (ზურაბ) ბაქრაძე პროკურატურის მიერ მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალს აღიარებს და აცხადებს, რომ სპეცოპერაციისას დაკავებულ პირებს იარაღი არ ჰქონიათ.

როგორც ზურაბ ბაქრაძემ ტელეკომპანია „პალიტრა-ნიუსის" ეთერში განაცხადა, იარაღები შემთხვევის ადგილზე მოგვიანებით, ვაკე-საბურთალოს პოლიციიდან მიიტანეს.

„მე სრულიად ვეთანხმები პროკურატურის მიერ წაყენებულ ბრალდებას ბრალდებულების და პირადად ჩემს მიმართ, რამდენადაც ბრალდებაში მოყვანილი ფაქტები არის სრული სიმართლე, ჭეშმარიტება. შემიძლია ამ თემასთან დაკავშირებით რამდენიმე წუთში მოგიყვეთ ის, რაც აინტერესებს საზოგადოებას ამ წლების განმავლობაში. პირველ რიგში, ალბათ, საზოგადოებისთვის საინტერესო არის ის, დაკავებულ ადამიანებს ჰქონდათ თუ არა იარაღი და იარაღი არის თუ არა ჩადებული. მე კატეგორიულად ვაცხადებ პირველად თქვენს ეთერში - იარაღები შემთხვევის ადგილზე არ ყოფილა, იარაღები შემთხვევის ადგილზე გამოჩნდა დაახლოებით 50 წუთის, 1 საათის- საათნახევრის მერე, ზუსტი დრო არ შემიძლია გითხრათ. იარაღები შემთხვევის ადგილზე არც ერთ დაკავებულს არ ჰქონია. იქ მოხდა გასროლა პატრულ-ინსპექტორის მიერ, სადაც დაიჭრა ბუტა და შემდეგ, სამწუხაროდ, გარდაიცვალა. ამის შემდეგ მოხდა ის, რაც მოხდა. ხაზს ვუსვამ, პირველად ვიძახი თქვენს ეთერში, გელაპარაკებით, როგორც კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი - მე დაახლოებით 40-50 წუთში ვიყავი შემთხვევის ადგილზე და მისვლისას არც ერთი იარაღი არ მინახავს, არც საბრძოლო მასალა, არც ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და არც პისტოლეტი. დასამალი არ არის, იარაღები მოტანილი იქნა მაშინდელი საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის, ზურაბ მიქაძის მიერ, ვაკე-საბურთალოს პოლიციიდან", - განაცხადა თბილისის კრიმინალური პოლიციის ყოფილმა უფროსმა.

შეგახსენებთ, რომ ბუტა რობაქიძის საქმეზე ბრალდებულია როგორც ზურაბ ბაქრაძე, რომელიც ამჟამად მიმალვაში იმყოფება, ასევე ზურაბ მიქაძეც.

სურსათის ეროვნული სააგენტო: თურქულის გავრცელების რისკი მინიმუმამდეა შემცირებული

15 თებერვალს, თელავში, სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარებმა კავკასიელ კოლეგებთან და ევროპელ ექსპერტებთან ერთად, ცხოველთა საშიში ინფექციური დაავადების - „თურქულის" საწინააღმდეგო ღონისძიებებსა და დაავადების მართვის საკითხებს განიხილეს.

როგორც სურსათის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთისა და თურქეთის ვეტერინარებმა ყურადღება გაამახვილეს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობასა და დაავადება „თურქულის" ეპიდემიოლოგიური და ლაბორატორიული კვლევის სრულყოფაზე. გარდა ამისა, დაიწყო კონსულტაციები, საქართველოს გარკვეული ტერიტორია ოფიციალურად დასახელდეს „თურქულისგან" თავისუფალ ზონად.

„ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა (ᲛIE) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (ᲭAᲨ) მხარდაჭერით, იმართება „თურქულის" საწინააღმდეგო სამუშაო ჯგუფის მორიგი შეხვედრა, რომელიც ითვალისწინებს რეგიონის წევრ ქვეყნებს შორის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას და დაავადებასთან ბრძოლის ეფექტიან მიდგომებს. მნიშვნელოვანია ასევე ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარება, რაც კავკასიის რეგიონის ეპიზოოტიურ კეთილსაიმედოობას უზრუნველყოფს", - განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსმა ლაშა ავალიანმა.

დაავადება „თურქული" სწრაფად გავრცელებადი მწვავე ვირუსული დაავადებაა. სურსათის ეროვნული სააგენტო „თურქულის" საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ვაქცინაციას ყოველწლიურად ატარებს. 2017 წელს 2 693 938 სული დაავადების ამთვისებელი ცხოველია ვაქცინირებული და საქართველოში დაავადების გავრცელების რისკი მინიმუმამდეა შემცირებული.

"უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენ დავინახეთ შესანიშნავი პროგრესი საქართველოში. ჩვენ ვხედავთ დიდ ძალისხმევას ვეტერინარულ ღონისძიებებში ვაქცინაციის თვალსაზრისით. გაზრდილია როგორც ვაქცინაციის არეალი, ასევე მისი ხარისხი.

ჩვენი მიდგომა ამ დაავადების კონტროლთან მიმართებით, გარდა ქვეყნის მასშტაბით ვაქცინაციისა და მონიტორინგისა, არის დაბალი რისკის ზონების შექმნა. საქართველოს შემთხვევაში ასეთია რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი და მესტიის რეგიონი, რომლებიც „თურქულისგან" თავისუფალ რეგიონებად უნდა გამოცხადდეს", -განაცხადა ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტმა კარპენ პუჩიმ.

ჯანმრთელობისათვის საშიში სუნელების დამზადებისთვის მეწარმე პასუხისგებაში მიეცა

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან კოორდინაციით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადების ფაქტზე, ბრალდებულის სახით ერთი მეწარმე პასუხისგებაში მისცეს.

როგორც საგამოძიებო სამსახურის პრესსამსახურში აცხადებენ, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ქალაქ თბილისში მდებარე ერთ-ერთ საამქროში ამზადებდა სხვადასხვა დასახელების სუნელს, რისთვისაც იყენებდა მცენარეებს და საღებავებს, მათ შორის არასაკვები დანიშნულების აზო-საღებავს „სუდან 1"-ს, რომელიც საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მერმა პოლონელ ექსპერტს უმასპინძლა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ვარშავის უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო გეოგრაფიისა და რეგიონალური კვლევების ფაკულტეტის პროფესორს, ექსპერტ პაველ სვიანიევიჩს უმასპინძლა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესებით, ასევე, არსებული მომსახურების სერვისებით დაინტერესებულ პროფესორს დედოფლისწყაროს შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა და მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებზე ესაუბრა.

„გასულ წლებთან შედარებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება თითქმის გახუთმაგდა და 2017 წელს 1,5 მილიონი ლარი შეადგინა . მიმაჩნია, რომ თვითმმართველობების განვითარებისთვის მათთვის მეტი უფლებების მინიჭებაა საჭირო. მთავრობის გადანყვეტილებით, წელს გადმოგვეცემა საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურა და, ვფიქრობ, ეს ძალიან დადებით შედეგს გამოიღებს. იგივე მოხდა სააღმზრდელო დანესებულებების შემთხვევაშიც. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღეს ჩვენი ბაგა-ბაღები არის მართლაც სანიმუშო როგორც კვებით, ასევე ინფრასტრუქტურითაც. ასევე შევქმენით შესაბამისი პირობები ინკლუზიური ბავშვებისთვისაც. ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემდეგ აღსაზრდელების რაოდენობა გასამმაგდა. ეს ყველაფერი კი დიდი შრომის შედეგია, რაც, ნამდვილად, არ გვეზარება“– განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა პაველ სვიანიევიჩთან საუბარში.

პაველ სვიანიევიჩმა მერს მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მოკლე დროში ამდენი წარმატებული პროექტის განხორციელება დასაფასებელი და ყველასთვის სამაგალითოა.

სკოლების ინფრასტრუქტურა მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში გადადის

სიახლე დაინერგება საჯარო სკოლების მართვის სისტემაში. საჯარო სკოლების ბიუჯეტი და მათი კუთვნილი ინფრასტრუქტურა განათლების სამინისტროდან ადგილობრივი მერიის დაქვემდებარებაში გადავა. ცვლილებას ხელისუფლება უახლოეს მომავალში განახორციელებს.

კახეთის მუნიციპალიტეტების ყველა რესურსცენტრის ხელმძღვანელი და საჯარო სკოლის დირექტორი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებს უკვე ხვდებიან. ასეთი სამუშაო შეხვედრა 12 თებერვალს უკვე შედგა დედოფლისწყაროს მერიაშიც, რომელსაც რესურსცენტრის უფროსი ეთერ დავითაშვილი და ყველა საჯარო სკოლის დირექტორი ესწრებოდა.

შეხვედრაზე დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სკოლების ინფრასტრუქტურითა და პრობლემებით დაინტერესდა და მერიის წარმომადგენლებთან ერთად მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრა. მათი განმარტებით, სამუშაო შეხვედრის აუცილებლობა საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებამ განაპირობა, რომლის თანახმადაც, სკოლების ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი განათლების სამინისტროდან ადგილობრივ თვითმმართველობებს გადაეცემა.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ეთერ დავითაშვილი ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ უცვლელი რჩება ვაუჩერული დაფინანსების სისტემა და პედაგოგთა ანაზღაურება, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს მხოლოდ სკოლების ინფრასტრუქტურის განკარგვა შეეძლებათ. მისი თქმით, თვითმმართველობები საჭირო ფინანსებს ადგილობრივი ბიუჯეტები განათლების სამინისტროდან მიიღებენ.

„უცვლელი რჩება სასწავლო გეგმა, ხელფასები და ვაუჩერული დაფინანსების სისტემა. მხოლოდ ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობას უზრუნველჰყოფს მუნიციპალიტეტი. თვითმმართველობებმა უკვე მიიღეს საქართველოს მთავრობის ოფიციალური შეტყობინება, ამიტომაც გაიმართა სამუშაო შეხვედრა მერიაში. სამწლიანი პრიორიტეტების შედგენა დაგვევალა, რის მიხედვითაც მუნიციპალიტეტი სკოლების რეაბილიტირებას მოახდენს. სკოლების უმრავლესობაში ელექტროგაყვანილობის პრობლემაა. ზოგგან წყალი ჩამოდის, ზოგგან სველი წერტილებია მოსაწესრიგებელი. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაში ჭერია დაზიანებული და წყალი ჟონავს. ყველა სკოლაში არსებული ვითარება განვიხილეთ. სამუშაო შეხვედრაზე განხილული პრობლემების შემდეგ გადაწყდა, რომ პრიორიტეტებში შევიტანოთ და 2019 წლისთვის სრული რეაბილიტაცია განხორციელდეს სოფლების: არბოშიკისა და ხორნაბუჯის საჯარო სკოლების შენობებში. სხვა სოფლებში სერიოზული პრობლემები არ დგას. ზოგადად, ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება მისასალმებელია, რადგან ესა თუ ის სარეაბილიტაციო სამუშაოები ხშირად ჭიანურდებოდა. მაგალითად, სამი წელია, იგეგმება დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. ჩამოვიდნენ სამინისტროს წარმომადგენლები, გამოცხადდა ტენდერი, გამოვლინდა კომპანია, მაგრამ არაკეთილსინდისიერი აღმოჩნდა და პროცესი უსაშველოდ გაჭიანურდა. როცა განათლების სამინისტროს 3 700 სკოლაზე უხდება ზრუნვა, ცხადია, პროცესი დროში იწელება, ასეთ შემთხვევაში კი მუნიციპალიტეტი ბევრად ეფექტურად მოახდენს პრობლემების აღმოფხვრას. ამისთვის საჭირო ფინანსებს კი მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში გადარიცხავს, “ – აღნიშნა ეთერ დავითაშვილმა.

დედოფლისწყაროს მერი დაგეგმილი ცვლილებებით კმაყოფილია და მიაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში სკოლების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია გაციცლებით ოპერატიულად მოხდება, ვიდრე ეს მანამდე ხდებოდა. ჯანიაშვილი ახალ მოდელს უფრო ეფექტურს უწოდებს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების შენობების მდგომარეობის ადგილზე გაცნობას იწყებს.

„მივესალმები საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რადგან ვფიქრობ, რომ საჭიროების შემთხვევაში, ჩვენი რეაგირება და მოქმედება იქნება გაცილებით სწრაფი და ოპერატიული, ვიდრე ეს აქამდე იყო შესაძლებელი. მთავარია ერთად დგომა და საქმის დიდი პასუხისმგებლობით კეთება. მხოლოდ ასე ვიმუშავებთ ეფექტურად და შევძლებთ ჩვენი ახალგაზრდებისათვის ღირსეული პირობების შექმნას. დღევანდელი სიტუაციის გათვალისწინებით გეტყვით, რომ ყველა პრობლემას ერთ დღეში ვერ მოვაგვარებთ, მაგრამ მდგომარეობას თვალსაჩინოდ შევცვლით. წარმატებას აღწევს ის, ვინც აკეთებს იმაზე მეტს, ვიდრე უბრალოდ ევალება. სწორედ ასეთი მიდგომებით უნდა ვიმუშაოთ მომავალში“ – განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

დედოფლისწყაროს მერი აღნიშნავს, რომ პროექტის - „ერთი დღე სოფელში“ - ფარგლებში, ამიერიდან საჯარო სკოლებსაც ეწვევა და მდგომარეობას ადგილზე გაეცნობა.

ილია მარტყოფლიშვილი

წელს საატესტატო გამოცდები შეცვლილი ფორმატით ჩატარდება

წელს საატესტატო გამოცდები შეცვლილი ფორმატით ჩატარდება. ტესტირების დასრულებისას მოსწავლე ეკრანზე დაინახავს არა მისთვის მინიჭებულ საგამოცდო ქულას, არამედ იმას, ჩააბარა თუ არა სკოლის გამოსაშვები გამოცდები. მოსწავლის კომპეტენციას ჯერ სკოლა შეაფასებს და მხოლოდ დადებითი პასუხის შემთხვევაში შეძლებს ის საატესტატო გამოცდის ჩაბარებას.

„თორმეტი წლის განმავლობაში, როდესაც მოსწავლე სწავლობს სკოლაში, ყველაზე უკეთესად მოსწავლეს, ბუნებრივია, სკოლა შეაფასებს და ბუნებრივია, დადებითი შეფასების შემთხვევაში, მას შეუძლია, კიდევ ერთხელ დაადასტუროს, რომ მას მინიმალური კომპეტენცია გააჩნია კონკრეტულ საგანში,“ - განაცხადა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, მაია მიმინოშვილმა.

მცირე მეწარმეებისთვის გადასახადი 5-ჯერ შემცირდა

მცირე მეწარმეებისთვის ბრუნვის გადასახადი 5-ჯერ შემცირდება, ასევე მცირე მეწარმის კატეგორიაში მოხვდება 500 000 ლარამდე ბრუნვის მქონე საწარმო, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

როგორც გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, მთავრობა მცირე ბიზნესის დახმარების მეორე ტალღას იწყებს. „მინდა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს შევეხო. პირველი - ეს გახლავთ მცირე მეწარმეებისთვის შეაღავათიანი საგადასახადო რეჟიმის შემოღება. მოგეხსენებათ, რომ მეწარმეობის განვითარება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, განსაკუთარებით მცირე მეწარმეობის. მე პარლამენტში მთავრობის დამტკიცების დროს, ჩემი გამოსვლისას ვისაუბრე, რომ ჩვენ ვიწყებთ მცირე ბიზნესის დახმარების მეორე ტალღას. მას შემდეგ, რაც საკმაოდ წარმატებით ხორციელდება პროგრამები „აწარმოე საქართველოში“, სოფლის მეურნეობის მიმართულებით პროგრამები, „დანერგე მომავალი“ და ა.შ. ჩვენ შემოვდივართ ახალი ინიციატივით. მინდა მადლობა გადავუხადო ფინანსთა მინისტრ მამუკა ბახტაძეს, რომელმაც ძალიან საინტერესო საკანონმდებლო პაკეტის ინიცირება მოახდინა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე. ეს გახლავთ ინიციატივა მცირე მეწარმეებისთვის დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმის დაწესების თაობაზე. კერძოდ, მცირე მეწარმეებისთვის 5-ჯერ ვამცირებთ ბრუნვის გადასახადს, ანუ 5%-ის ნაცვლად იქნება 1%-იანი ბრუნვის გადასახადი. ამასთან, დღეს თუ მცირე მეწარმედ ითვლება 100 000 ლარამდე ბრუნვის მქონე საწარმო, 500 000 ლარამდე ბრუნვის საწარმო ჩაითვლება ამ კატეგორიაში და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არის მართლაც მნიშვნელოვანი შვება მცირე მეწარმეობაში დაკავებული ადამიანებისთვის, მნიშვნელოვანი შემცირება საგადასახადო ტვირთის და წახალისება ახალი მეწარმეების, რომელთაც სურთ საქმიანობის წამოწყება“, - განაცხადა კვირიკაშვილმა.

ამასთან, მთავრობის მეთაური დარწმუნებულია, რომ მეწარმეები აიტაცებენ ამ ინიციატივას, „იქნება ახალი საწარმოების შექმნის ინიციატივები და მნიშვნელოვანი ახალი ჟანგბადი მცირე მეწარმეებისთვის წარმოების გაფართოებისთვის და ასევე არსებული საწარმოებისთვის“.

„შინაგანად მაინც ოპტიმისტი ვარ...“

დედოფლისწყაროში ორიოდე წლის წინ გამოიცა ჟურნალი „ხორნაბუჯი“. ჟურნალი საქართველოს მასშტაბით გამოდის და მასში არამარტო ჩვენი, არამედ მთელი საქართველოს მწერლობა იყრის თავს. ყოველ ექვს თვეში ერთხელ ჟურნალი „ხორნაბუჯი“ ჩვენი თანამემამულე პოეტის, გიორგი ნატროშვილის ნიჭის წყალობით იქმნება. გიორგი ნატროშვილი 2017 წლიდან დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელიცაა. დეკემბრის თვეში მისმა ლექსმა წვინდა ნინოს სახელობის ლექსის კონკურსში გაიმარჯვა. . სწორედ ეს საინტერესო ადამიანი, “ხორნაბუჯის” რედაქტორ-გამომცემელი გიორგი ელგუჯას ძე ნატროშვილია ჩვენი გაზეთის სტუმარი.

-გიორგი, როგორი იყო თქვენი ბავშვობა, სკოლის წლები, სტუდენტობა?

. -დავიბადე სოფელ ზემო მაჩხაანში, ვსწავლობდი ამავე სოფლის საშუალო სკოლაში, წარმატებული მოსწავლე ვიყავი, ყველა საგანს თანაბრად საუკეთესოდ ვსწავლობდი. საკმაოდ კარგად და ლამაზად მახსენდება ჩემი ბავშვობის წლები. კარგი პედაგოგები მყავდნენ. განსაკუთრებულად მახსენდება პაპა-ბებია, ვის ხელშიც ვიზრდებოდი, ალბათ ლექსის ნიჭიც პაპისგან, ზაქარია ნატროშვილისგან გადმომყვა, ის ცნობილი მოლექსე იყო და ასევე ზეპირად იცოდა როგორც თავისი, ასევე სხვა ავტორების ლექსები და შაირები. პაპამ „ვეფხისტყაოსანი“ და ვაჟა-ფშაველას პოემები ზეპირად იცოდა. პატარაობაში „ვეფხისტყაოსანი“ ზღაპარი მეგონა, რადგან თავიდან პაპაჩემი თხრობით მიყვებოდა ამ ამბავს, ცოტა რომ მოვიზარდე, (ეტყობა ჩათვალა, რომ უკვე გავიგებდი) მერეღა მომითხრო ლექსად. შესანიშნავად უკრავდა ჩონგურს და მღეროდა კიდეც. ზემო მაჩხაანის ანსამბლშიც იყო და მათი სიმღერები საქართველოს რადიოს ოქროს ფონდშია დაცული. შემპირდნენ ასლს გაგიკეთებთო, მაგრამ სამწუხაროდ ჯერ ჩემამდე არ მოსულა. ის ასევე ცნობილი თამადა იყო, მჟავანაძე რომ ჩამოდიოდა, როგორც უფროსი ხალხისგან ვიცი, სულ პაპაჩემს ეძახოდნენ სათამადოდ. სკოლის დამთავრების მერე, მისი ლექსები ჩავიწერე, კასეტაზე კი, მისი ნამღერი შაირები და თქმულებები. სამწუხაროდ დაკარგულია ეს უნიკალური მასალა. ახლა სულ ერთი-ორი ლექსი გამაჩნია პაპის, რაც აკაკი ნატროშვილის მამას, დათო ძიას ახსოვდა ზეპირად და მან დამიწერა.

რაც შეეხება ჩემს სტუდენტობას, საკმაოდ ვრცელი და ცოტა კურიოზული ისტორიაც ახლავს თან. თავიდან სამედიცინოზე მქონდა გადაწყვეტილი ჩაბარება, ვემზადებოდი ყველა საგანში, იმ წელს მოხდა ასე, რომ გამოცდებამდე ერთი-ორი თვით ადრე, მაშინდელმა განათლების მინისტრმა, ნათელა ვასაძემ გამოსცა ბრძანება, რომ მისაღებ გამოცდებზე ქიმია უნდა ჩაბარებულიყო, მე კი ქიმიაში არ მოვმზადებულვარ, ფიზიკაში ვემზადებოდი, რადგან ეს საგანი ბარდებოდა. ამიტომ იმ წელს ვერ ჩავბარე, მერე საერთოდაც გადავიფიქრე სამედიცინოზე ჩაბარება და სექტემბრიდან უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური ფაკულტეტის მოსამზადებელ კურსზე დავიწყე სწავლა, თან შესაბამის საგნებში (მათემატიკა, ქართული და ისტორია) ვემზადებოდი. თუმცა, იმ დროისთვის სწავლასთან ერთად პარალელურად სამუშაო სტაჟიც იყო საჭირო. სტაჟისთვის, როგორც მახსოვს ფეხსაცმელების ფაბრიკა „ისანთან“ არსებულ31-ე პროფ-ტექნიკუმში ვიყავი გაფორმებული და ზოგჯერ მივდიოდი კიდეც. ისევ გამოცდების წინ და ისევ ვასაძემ (ამ გვარს რა დამავიწყებს) გამოსცა ბრძანება, რომ რა პროფილითაც გქონდა „სტაჟი“, ზუსტად იმ პროფილის სასწავლებელში უნდა ჩაგებარებინა. მე მათემატიკაში ვემზადებოდი ცხონებულ ჯემალ ვეკუასთან, ილია ვეკუას ძმისშვილთან, რომელიც მაშინ კომაროვის სკოლის დირექტორიც იყო და ასევე უნივერსიტეტის მიმღები კომისიის წევრი, მაგრამ ვერც უნივერსიტეტში და თბილისის ვერც ერთ უმაღლეს სასწავლებელში ვერ აღმოვაჩინეთ შესაბამისი პროფილი. საქართველოში ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგიის სპეციალობა ისწავლებოდა მხოლოდ ქუთაისის ნ. ი. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტში მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტზე. იმ წელსაც აღარ ვაპირებდი ჩაბარებას, მაგრამ ბიძაჩემთან ერთად სათევზაოდ წავედით ტეხურაზე ცხაკაიაში (დღევანდელი სენაკის რაიონი), ბებიის და მყავდა ნოსირში და მასთან ჩავდიოდით ხოლმე. ბიძაჩემმა მითხრა ,ეგ საბუთები ტყუილად გიდევს და წამოიღე, გზად შევიაროთ ქუთაისში, შეიტანე საბუთები, დახედე და თუ მოგეწონა, ჩააბარეო. კომისიამ საბუთები, რომ ნახა არაფრით აღარ გამომატანა, მაშინდელ რექტორს ნოდარ ვალიშვილს, მსუბუქი მრეწველობა სულ ქუთაისში გადაეტანა და თბილისელებს დიდ უპირატესობას აძლევდა გამოცდებზე. არ ვიცი რა დაეწერე მაგრამ ასე მოვხვდი 9 ქულით უმაღლეს სასწავლებელში და ერთ-ერთი პირველი მოვევლინე იმ წელს სტუდენტად ქუთაისს, თუმცა, საკმაოდ საინტერესო წლები მაკავშირებს ამ ქალაქთან. ჩავები აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებაში. აქვე ის ფაქტიც მინდა გავიხსენო, რომ სწავლის დაწყების პირველივე დღეს, პირველ სექტემბერს, პირველივე - ათეიზმის ლექციაზე რაღაცაზე გამეცინა, ლექტორმა თავისთან რომ გამიძახა და მკითხა, როგორ მოხვდი აქაო?! საავსებით სერიოზულად ვუპასუხე: შემთხვევით მეთქი, მას კი ეგონა, რომ ვაშაყირებდი და გარეთ გამომაგდო.

-ჰეგელი ამბობს: „ იდეალი არის უმაღლესი რამ ნამდვილ ჭეშმარიტებაში,“ თქვენი იდეალი?

-ჩემთვის იდეალი ღვთაებრივი ჭეშმარიტებაა, ანუ სამოთხე, სადაც სრულყოფილება არის იმ დონემდე მიყვანილი, რომ ადამიანი ვერ გამოსთქვამს იმას . უფალი ეუბნება და წმინდანებიც ეუბნებიან, ვინც არის ნამყოფი და ის სიტკბოება უგემია, ადამიანური ენით ის გამოუთქმელია, ის სიამე, ის ჰარმონია, სიტკბოება, რომელიც სუფევს იქ. იმ ენით, რითაც ჩვენ ვსაუბრობთ, ხომ არის ჩვენში პოეზია, შედევრები იქმნება, ამ შედევრების ენითაც კი, ვერ გამოთქვამ იმ სიტკბოებას, იმხელა ჰარმონიაა იქ. აი, ეს არის ჩემთვის იდეალური და იმისკენ სწრაფვაა ყველაზე მთავარი.

-მაინტერესებს, განსაცდელს როგორ ხვდება გიორგი ნატროშვილი, სასონარკვეთაში თუ ჩავარდნილხართ ოდესმე?

- შინაგანად უფრო ოპტიმისტი ვარ და არ ვარ მიდრეკილი სასოწარკვეთისკენ. ზოგადად, განსაცდელის ჩემეული ახსნა მაქვს . ადამიანს გარკვეულწილად ეძლევა განსაცდელი იმისთვის, რომ უფრო მაღლა დადგეს, უფრო ახლოს მივიდეს ღმერთთან. წმინდანებიც ამბობენ და ასეთ შედარებას აკეთებენ, როგორც ოქროსგან ცეცხლში წრთობით ბაჯაღლო იქმნება, ისე განსაცდელისგან იქმნება, ანუ ძველი კაცისგან, რომელიც დატვირთულია ცხოვრებისეული განსაცდელებით, უნდა ამოვიდეს ახალი, ბაჯაღლო კაცი, რომელიც ღმერთთან უფრო და უფრო ახლოს იქნება. შესაბამისად, განსაცდელიც მიაღწევია ჩემთვის, რათა უფრო მივუახლოვდე უფალს.

-საზოგადოებამ კარგად იცის თქვენს მიერ არჩეული გზა, რომელიც უფლისკენ მიახლებას ისახავს მიზნად-ამიტომ გისვამთ კითხვას.: ადამიანი მხოლოდ იმისთვის იბადება, რომ ღმერთს ემსახუროს და გზა იპოვოს სასუფევლამდე, თუ კიდევ არის სხვა რამ?

-ადამიანის ამქვეყნიური მიზანი არის განღმრთობა, სახარებაში პირდაპირ სწერია, რომ თქვენში თითოეულში ღმერთია, თქვენ ხართ უფალი თითოეული, ესეთები ხართ და ეს ხიშნავს, რომ ადამიანში ჩადებულია ეს. ჩვენ შინაგანად ხომ გვგონია, რომ არ მოვკვდებით, რომ მარადიული ვიქნებით, სინამდვილეში მართლაც ასეა, იმიტომ გვგონია, რომ ეს ასეა. ჩვენ მარადიული ვიქნებით, ფიზიკური სხეული, რითაც ეხლა ვართ შემოსილი, ეს არის მოკვდავი, თორემ, ადამიანი მარადიულობისთვის არის შექმნილი, უფალთან თანაზიარობისთვის. ვიცით ჩვენ, მარადიულს რომ ვეზიაროთ, უფალმა მოგვცა თავისი პირველი მაგალითი ჩვენს ცხოვრებაში ხორციელი გზით მოსვლით დედამიწაზე და მერე თავისი ჯვარცმით, აღდგომით და ამაღლებით. ყოველ ჩვენთაგანს, ვინც ვირჩევთ ამ გზას, ყოველთვის გვიწევს გარკვეულწილად ამ გზის გამეორება: გოლგოთაზე ასვლაც, ჯვარცმაც ნაწილობრივ და შემდეგ სამოთხემდეც მივაღწევთ.

-ყოველთის მაინტერესებდა და უნდა გკითხოთ, ბიბლიაში ვკითხულობთ: კაენმა იცხოვრა 900 წელი, ნოემ 1000 წელი, მათმა შვილებმა 1200 წელი და ასე შემდეგ, ბიბლიაში რომ ყველაფერი სიზუსტით წერია, ვიცით, მაგრამ ეს რას ნიშნავს, მართლა ამდენი იცხოვრეს ბიბლიურმა ადამიანებმა?

-დიახ, არცერთი სიტყვა არ არის წარმოუდგენელი, მათ ზუსტად ამდენი წელი იცხოვრეს.

-ვიცით, რომ უფალი მოვა არა იმ სიღარიბით, როგორშიც იცხოვრა, არამედ უფალი მოვა ზეციური დიდებით, თუ შეიძლება ამაზე მოყვეთ მცირედი მაინც.

-უფლის პირველი მოსვლა იყო სხეულით, მეორე მოსვლა იქნება დიდებით, ის ისე მოვა, რომ ერთდროულად დაინახავენ აქაც და ამერიკაშიც. ხომ შეუძლებელია ფიზიკურად, მაგრამ ყველა დაინახავს ამას, ზეციური დიდებით და გრგვინვით მოვა, როგორც ეკადრება ღმერთს, ამის დამალვა უბრალოდ შეუძლებელი იქნება, ისეთი მოსვლა იქნება უფლის. მოვა და მას შემდეგ მოხდება კაცობრიობის განსჯა.

-ვოლტერი ამბობს: „ ოპტიმიზმი არის სიგიჟე, ამტკიცო ყველაფერი კარგადაა, როცა ყველაფერი ცუდადაა“ ეთანხმებით, თუ არა ამ გამონათქვამს?

-შინაგანად მაინც ოპტიმისტი ვარ და ნაკლებად ვეთანხმები ვოლტერს.

-ბრეხტი ამბობს, -„ომი იგივე ვაჭრობაა, ოღონდ ყველით კი არა, ტყვიით“, ბოლო დროს საქართველომ კიდევ რამდენიმე ომი იგემა, თქვენი აზრით, ვის ინტერესებში შედის საქართველოთი ვაჭრობა?

-საქართველოთი ვაჭრობაზე ჯერ კიდევ ცნობილი მწერალი ნიკო ლორთქიფანიძე წერდა მეოცე საუკუნის დასაწყისში, იქამდე საუკუნეების მანძილზე საქართველოს წაგლეჯვას ცდილობდნენ ჩვენი მომხდურები. თუმცა, საუკუნეები გავიდა და საქართველოს ვერავინ ვერაფერი დააკლო, იმიტომ რომ ღვთისმშობლის წილხვედრია ეს ქვეყანა და ასე ადვილი არაა ჩვენით ვაჭრობა, თორემ აქამდეც შეეძლო ისეთ დიდ სახელმწიფოებს, როგორიცაა რუსეთი და ამერიკა, ხელში ჩაეგდოთ საქართველო. რამდენჯერ ყოფილა ესეთი შემთხვევები, იმის მერეც, თუნდაც მე-20 საუკუნის ბოლოს და ახლაც, თუმცა, საუკუნეები გადის და ქართველი ხალხის გმირული სული ვერავინ გატეხა. ზოგადად, რამდენადაც ჩვენ რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებში ვიყავით, და ვართ, აფხაზეთიც და ოსეთიც რუსეთის მიერაა წართმეული, რად უნდა მაგას საუბარი. მე თვითონ ამ ომების დროს იქ ვიყავი და მაგას ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი ხედავს, რომ რუსეთს ასე ადვილად არ ეთმობი და უნდა, რომ მისი ინტერესების დამცველი და გამტარებელი იყო. ჩემი ბიძაშვილის ბატალიონი გაგრაში რომ მიდიოდა, მე ვსწავლობდი მაშინ, იარაღი დაატოვებინეს, ავტომატებით აბრძოლეს კბილებამდე შეიარაღებულ ბატალიონებთან, დაუპირისპირეს ტანკებს და ქვემეხებს, მიუხედავად ამისა, ჩეხების აშენებული სასტუმროში გამაგრებულმა 60 ქართველმა 800-კაციან ბატალიონს ისე შეუტია, რომ ჩეჩნებს და რუსებს ეგონათ, საკმაოდ დიდი მეომრების გუნდი ებრძოდათ. თითქმის 60 მებრძოლი იქვე ჩაიხოცა, მაგრამ მტერსაც დიდი დანაკლისი აგება. ასეთი გმირი ხალხი ვართ ქართველები, ერეკლე მეფის მებრძოლები 10 კაცი 100 კაციან რაზმებს ებრძოდა, ბრძოლის ველზე ეცემოდნენ, მაგრამ თითოეულს მტრის ჯარში უკვე ათობით მეომარი ჰყავდა განადგურებული. ასე რომ, საქართველოს ასე ადვილად ვერავინ წაშლის, ჩვენ ღვთისმშობელი მარიამი გვიცავს.

-სიკეთე ადამიანის სამყაროში ეს მზეა, იგი ის სამოსელია, რომელიც არასოდეს ცვდება, რომლის სიჭარბეც ზიანს არ გვაყენებს, აყვედრით ხოლმე გულის სილრმეში სიკეთეს ვინმეს და როდის გიჩნდებათ სიკეთის კეთების სურვილი?

-სიკეთე ზოგადად ქრისტიანული სათნოებაა. სიკეთის კეთებაზე მე ყოველთვის მახსენდება ის ამბავი, უფალმა ათი კეთროვანი რომ განკურნა და იქიდან ერთი მიტრიალდა, გადაუხადა მადლობა, დანარჩენები არც მოტრიალებულან, წავიდნენ ჩვეულებრივად. სიკეთე იმის გამო არ უნდა ვაკეთოთ, რომ ვინმემ მადლიერება გამოხატოს. თუ სიკეთე გააკეთე და არავინ გითხრა მადლობა, ამისთვისაც მზად უნდა იყო, ამ დროს ათი კეთროვანის მაგალითი გაიხსენო.

-გიფიქრიათ ოდესმე იმაზე, რომ ყველაზე გვიან ადამიანები ჭკუას და გონებას ვიძენთ?

-ცნობილი გამონათქვამია ასეთი, რომ ჭკვიანმა ადამიანმა სხვისი გამოცდილებით უნდა ისწავლოსო, ხოლო ბრიყვი საკუთარ გამოცდილებაზეც ვერ სწავლობსო. მე ჩემს თავს ვატყობ, არც მაინცდამაინც ჭკვიანი ვარ და არც ბრიყვი, რადგან უფრო ხშირად საკუთარი გამოცდილებიდან ვსწავლობ რაღაცეებს. ადამიანების უმრავლესობაც ასე ვართ, საკუთარ გამოცდილებაზე ვსწავლობთ, თუმცა, ძირითადად ვერ ვსწავლობთ მაინც.

-პოეზია სულის მუსიკააო, რა აკორდები ჟღერდა მაშინ თქვენს ცხოვრებაში, როდესაც ამაღლებულ ლექსებს წერდით?

-ჩემთვის პოეზიას და ზოგადად, მუსიკას, დიდი მნიშვნელობა და ადგილი უკავია. ასეთი პროზაიკოსია მიხო მოსულიშვილი, მუსიკის გავლენით წერს, რომელიმე კომპოზიტორის ნაწარმოებს აიღებს და ამის მიხედვით წერს, ადამიანურ ხასიათებს უკონტურებს, ჩემშიც მუსიკას დიდი გავლენა ჰქონდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პირველად შევეჭიდე ლექსებს.

-როდის დაიწყეთ პირველად ლექსების წერა?

-ძალიან ადრე, 80-იან წლებში, 1976 წელს მივედი სკოლაში, დავამთავარე 1986 წელს და სადღაც 70-იანი წლების ბოლოს დავწერე ჩემი პირველი ლექსი. პირველად მამაჩემს რომ ვაჩვენე ჩემი ლექსები, არ დამიჯერა, მერე უკვე თანდათანობით ბევრი დაგროვდა. სამწუხაროდ, ძველი რვეულები დამეკარგა, არ ვიცი, სად არის. კლასელი გოგონები ხომ იცით. სხვათაშორის, გიორგი ნატროშვილი იყო ჩამოსული ზემო მაჩხაანის სკოლაში, არ მახსოვს რომელი წელი იყო, იმ გიორგისაც მივუძღვენი ჩემი ლექსი. აქეთა მხარეს ირაკლი აბაშიძე იდგა, შუაში მე დამიყენა და იქეთ თვითონ იდგა, მან თავისთან მიმიხმო ლექსის წაკითხვის დროს და ასე მოვხვდი ორ ბუმბერაზს ადამიანს შორის. ის ლექსიც აღარ მახსოვს, შესაძლოა, გიორგი ნატროშვილის არქივში არის სადმე, მაგრამ მე არ მახსოვს. ჩემი პირველი ლექსი, რომელიც 1983 წელს „შირაქში“ გამოქვეყნდა, (მაშინ ჯერ კიდევ სკოლაში დავდიოდი), ლექსი (იცინის) ეხებოდა კომუნიზმს, ანტიმილიტარისტული ლექსი იყო, მგონი ტანკი ერქვა ლექსს. მახსოვს ორი სტრიქონი: „არ გვინდა ტანკი, მშვიდობის მოქიშპე მანკი“, ასე მახსოვს.

-თქვენი ლექსები ძალიან თამამი და ცოტა ეროტიკული მეჩვენება, ეს როდის მოვიდა თქვენში?

-ეს მოვიდა მაშინ, როდესაც სიყვარული მოვიდა, უფრო ჭაბუკობის წლებში.

-თქვენი მეუღლე თქვენი პირველი სიყვარულია?

-სკოლის პერიოდში მიყვარდა ერთი პიროვნება, მაგრამ, სამწუხაროდ, ის სიყვარული უპასუხო აღმოჩნდა, ნამდვილი სიყვარული, რომელიც ორმხრივი აღმოჩნდა და განვითარება ჰპოვა, ოთხი შვილის სახით ჩემი მეუღლის, ქეთევან მწყერაძის, სიყვარული იყო. უფროსი ქალიშვილი-ნინო, უკვე 23 წლისაა, უფროსი ვაჟი - გუჯა, 21-ის, უმცროსი გოგონა -ეკატერინე, 15-ის, ხოლო უმცროსი ვაჟი - ნიკოლოზი, 11-ის.

-მამაკაცები უფრო მეტად განიცდიან სიყვარულს, მაინტერესებს, დარჩა თუ არა ის პირველი სიყვარული თქვენს გულში მუდმივად?

-მე მაგალითად დამრჩა ჭრილობასავით, მაინც ვფიქრობ, რომ ჩამოყალიბებული იმ პერიოდში არ ვიყავი და თან ხომ იცით, როგორ არის, გოგოები უფრო მალე ქალდებიან და თავის ტოლებისკენ არ აქვთ დიდი მიდრეკილება, უფროს უფროს ბიჭებს უყურებენ. ალბათ უფრო გატაცება იყო, მაგრამ მე იმ პერიოდში სიყვარულად აღვიქვამდი ამ ყველაფერს და ჭეშმარიტად რა სატანჯველიც სიყვაარულს ახალავს, ყველა გადავიტანე.

-სიყვარული სამყაროს ამოძრავებს. იმიტომ ვხდებით ადამიანები უფლის შვილები, რომ ის ადამიანებიც სიყვარულით იქმნებიან...

-საბოლოო ჯამში სახარებაში წერია, რომ სიყვარული ღმერთია და ღმერთი სიყვარულშია. ამაზე დიდი ეპიტეთი რაღა სჭირდება სიყვარულს.

-თქვენ და ბუნება...

-ვაძლოვანში ადამიანი ვერ იმუშავებს, თუ ბუნება არ უყვარს. რამდენიმე დღით მოწყვეტილი ხარ ფაქტიურად სამყაროს. უახლოესი დასახლებული პუნქტი, სადაც ყველაფერი რომ შეიძინონო, რაც გჭირდება, არის 50 კილომეტრში, ეს არის დედოფლისწყაროს ცენტრი. ვაშლოვანი იმითაა უნამაზესი, რომ 7 სახეობის ლანდშაფტს აერთიანებს. ზოგჯერ ერთ ქვეყანაში ერთი სახეობის ლანდშაფტია, აქ კი ერთ პატარა ადგილას, 7 სახეობის ლანდშაფტია თავმოყრილი, უდაბნო, ნახევარუდაბნო, ჭალის ტყე, სტეპები, ფოთლოვანი მერეული ტყეები და ასე შემდეგ... ძალიან მრავალფეროვანი ბუნების პატრონები ვართ და ძალიან ბევრ დედოფლისწყაროელს არ აქვს ნანახი.

-ვთქვათ, მე ვარ მოქალაქე და მინდა დათვალიერება, როგორ ხდება ეს....

-გააჩნია, რა გინდათ დაათვალიეროთ, თუ სასაზღვრო პუნქტს გადალახავთ, 5 ლარი ღირს, თუ მანქანით მიდიხართ, მანქანის მომსახურება 10 ლარი ჯდება, თუ დარჩენა გნებავთ, ამაზე კიდევ სხვა გადასახადია. დარჩენის შემთხვევაში საჭიროა კარვებიც, ბუნგალოებიც და ფასიც ამის შესაბამისია. 3-ადგილიანი ნომერი ბუნგალოში ღირს 50 ლარი და ზევით, 2-ადგილიანი 40 ლარი ღირს, 9 ბუნგალოა ზევით და 6 ბუნგალოა ალაზნის პირზე. ტურისტები ბევრნი არიან.

-ვიცი, რომ ქუთაისის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდით.

-ვიყავი „ახალგაზრდობის ქრისტიანულ -დემოკრატიული ასოციაციის იმერეთის რეგიონის ორგანიზაციის თავმჯდომარე, მე ამირჩიეს იმიტომ, რომ იმ პერიოდში ჩემს ადგილზე ვინც იყო გია ცუცხვამვილი, გახდა პარლამენტარი და მან წამოაყენა ჩემი კანდიდატურა. იქამდე გამგეობის წევრი ვიყავი და საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობას ვკურირებდი. 1993 წელს უნივერსიტეტის დამთავრების მერე აქეთ წამოვედი, კახეთშიც შევქმენი ასეთი ასოციაცია. დღეს ვინც არიან დიდ პოლიტიკაში, ყველა ეგენი უმეტესობა იქიდან იყვნენ წამოსულები, იქიდან დაფრთიანდნენ. მაშინ როდესაც უფალთან დავიწყე დაახლოება, პოლიტიკისადმი გამიცივდა დამოკიდებულება. 1996 წლიდან გამოვეთიშე პოლიტიკურ მოძრაობებს.

1996 წელს შეიქმნა დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანი“, პირველი თავმჯდომარე ზაქრო სეხნიაშვილი იყო, მე ზაქროს დროს მივედი, სიხარულით მიმიღეს, მაშინ, ერთად გამოვცემდით ბროშურას და „ლიტერატურული ქიზიყის“ 5 ნომერი გამოვიდა. ზაქროს მერე, მცირე პერიოდით, დალი სულაშვილი იყო ორგანიზაციის თავმჯდომარე. შემდეგ, 2001 წლიდან ჯუმბერ უთრუთაშვილი, 2013 წლიდან თავმჯდომარედ ავირჩიეთ ნატო ყატაშვილი 2017 წლამდე. 2016 წლის ბოლოს ერთმა ჩემმა ახლობელმა პოეტმა, ლერი ნოზაძემ, გამოსცა დედოფლისწყაროელი პოეტების კრებული, რომლის წარდგენაც მოეწყო 2017 წლის 19 თებერვალს დედოფლისწყაროს ბიბლიოთეკაში. ამ დროს „ხორნაბუჯის“ მესამე ნომერიც გამოცემული იყო და ისიც წარვუდგინეთ საზოგადოებას, ბევრი სტუმარი გვყავდა, მათ შორის საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ქალბატონი მაყვალა გონაშვილი, თანათავმჯდომარე თემურ ჩალაბაშვილი, ასევე შესანიშნავი პოეტი ქეთევან შენგელია. სწორედ ამ შეკრებაზე ჩემთვის მოულოდნელად ნატო ყატაშვილმა მე გადმომაბარა დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანის“ ხელმძღვანელობა.

-გიორგი, მინდა გამოგიტყდეთ, რომ ასეთი საინტერესო ინტერვიუ იშვიათ რესპოდენტთან მქონია. ძალიან სასიამოვნო იყო თქვენთან საუბარი. მინდა წინ დიდი წარმატება და კვლავაც მრავალი სასიკეთო საქმის კეთება გისურვით, თქვენნაირ კეთილშობილურ, თავმდაბალ და ძლიერი სულის ადამიანებზე დგას და უნდა იდგეს მომავალშიც ჩვენი ეროვნულობა. მსგავსნი უნდა შეეყუდნენ ჩვენი სიცოცხლის ხეს ფესვებად, რათა ეს ხე განიტოტოს, ფოთლები მოისხას, აყვავილდეს, გაძლიერდეს და გაზაფხული მოიყვანოს.

ლალი მეხრიშვილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 100 წლისაა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე 2018 წელს იუნესკოს ეგიდით იმართება. ეს გადაწყვეტილება გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ პარიზში გენერალური კონფერენციის 39-ე სესიაზე მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერით მიიღო.

უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიების მთელი ქვეყნის მასშტაბითა და საერთაშორისო დონეზე დაგეგმვისა და ორგანიზაციებისათვის შეიქმნა სპეციალური სამთავრობო კომისია საქართველოს პრემიერ- მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის თავმჯდომარეობით. თსუ იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები 2017 წლის დეკემბერში დაიწყო და 2018 წლის განმავლობაში გაგრძელდება. მიმდინარე წელი გამოცხადებულია უნივერსიტეტის წლად, აქედან გამომდინარე, მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს გამგეობის წევრების მხარდაჭერით მრავალი საინტერესო პროექტის განხორციელება გვაქვს დაგეგმილი. მთელი წლის განმავლობაში ოფისში გვექნება შეხვედრები თსუ-ს კურსდამთავრებულებთან.

მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, 8 თებერვალს, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში თსუ-ს 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ გალა-კონცერტზე.

აკადემიური კონცერტის დაწყებამდე ვიდეო-კოლაჟში გაცოცხლდა თსუ-ის დამფუძნებლების ცნობილი სახეები: ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, კორნელი კეკელიძე, კოტე აფხაზი, გრიგოლ გველესიანი, აკაკი შანიძე, გრიგოლ წერეთელი, ანდრია რაზმაძე, გიორგი ახვლედიანი და იოსებ ყიფშიძე.

უნივერსიტეტის დაარსებისას, 1918 წელს მხოლოდ ერთი – სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი გაიხსნა, რომელზეც 369 სტუდენტი ირიცხებოდა და 7 პროფესორი, 5 პროფესორის მოადგილე, 2 მეცნიერ-ხელმძღვანელი და 3 ლექტორი მოღვაწეობდა, დღეს კი უნივერსიტეტის 7 ფაკულტეტზე 22 000 -მდე სტუდენტი ეუფლება უმაღლეს განათლებას, მათ შორის 600-მდე საერთაშორისო სტუდენტია.

ამდროისათვის თსუ-ში სულ 705 აკადემიური პერსონაა დასაქმებული. დედა-უნივერსიტეტი მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების ორ პროცენტში მოხვდა. უნივერსიტეტის საიუბილეო ბუკლეტში არაერთ საინტერესო ინფორმაციას გაეცნობით. თსუ-ს ჰყავს 180-ზე მეტი პარტნიორი უნივერსიტეტი 50-მდე ქვეყანაში, საიუბილეო კონცერტს ესწრებოდნენ უცხოეთიდან პარტნიორი უნივერსიტეტების რექტორები, თსუ-ის პროფესურა, მისი რექტორატი, მთავრობის წარმომადგენლები, თსუ-ს მეგობრები, განათლებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლები, სტუდენტები. თსუ-ს 300 000 -ზე მეტი კურსდამთავრებული ჰყავს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში წარმატებით მოღვაწეობენ და

სპეციალურად იყვნენ მოწვეულები საიუბილეო კონცერტზე.

გალა-კონცერტი გაიხსნა ქართული სიმღერით „ჩაკრულო“ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „რუსთავის“ შესრულებით. კონცერტში მონაწილეობდნენ მსოფლიოს პრესტიჟულ საოპერო სცენებზე მოღვაწე ქართველი საოპერო ვარსკვლავები: ნინო სურგულაძე, ნინო მაჩაიძე, თამარ ივერი, ოთარ ჯორჯიკია, ქეთევან ქემოკლიძე, თბილისის ოპერისა და ბალეტის სიმფონიური ორკესტრი ზაზა აზმაიფარაშვილის დირიჟორობით, ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები“, პიანისტები: დავით ევგენიძე, ვალერიან შიუკაშვილი, დუდანა მაზმანიშვილი, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა გერმანიიდან.

უდიდესი წარნატება ხვდა წილად ვაჟთა ანსამბლ უნივერსიტეტის მიერ შესრულებულ საგალობელს „შენ ხარ ვენახი“. ხანგრძლივი აპლოდისმენტებით აჯილდოვებდნენ ქართველ ხელოვანებს ქართველი და უცხოელი მაყურებელი. გალა-კონცერტის პროექტის ავტორი გახლდათ ბასა ფოცხიშვილი.

კონცერტის დასრულების შემდეგ ოპერის წითელ დარბაზში თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა მასმედიის წარმომადგენლები შეგვახვედრა უნივერსიტეტის რექტორთან გიორგი შარვაშიძესთან, რომელმაც აღნიშნა, თსუ-ის მრავალ კურსდამთავრებულებს მუდამ ჰქონდათ და დღესაც აქვთ სურვილი ითანამშრომლოს თსუ-თან, სწორედ ამიტომ აღვადგინეთ „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“. ჩემთვის ცნობილია, რომ საზღვრისპირა რაიონში – დედოფლისწყაროში არის მწიგნობართა ასოციაცია, რომლის თანათავმჯდომარეა ნანა ჭიჭინაძე, გამგეობის წევრები: ინგა შიოლაშვილი, ნაირა გორაშვილი, ნუნუ ცაკაშვილი, თსუ-ის კურსდამთავრებულები არიან და აქტიურად ეხმაურებიან ჩვენთან გამართულ ღონისძიებებს, თსუ-ის 95-ე იუბილე ისეთი მასშტაბით აღნიშნეს, რომ ინფორმაცია თბილისის უნივერსიტეტის გაზეთში და საქართველოს რესპუბლიკაში დაიბეჭდა, ასევე დაიბეჭდა რესპუბლიკურ გაზეთებში ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო საღამოები, რომლებსაც უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები ესწრებოდნენ. სპონსორი ვაჟა ოზაშვილი გახლდათ.

ეს გაზეთები გამოფენილია თსუ-ის პირველი კორპუსის ბიბლიოთეკაში.

2018 წელი უნივერსიტეტის წლად არის გამოცხადებული და მრავალი საინტერესო ღონისძიება გაიმართება.

ნანა ჭიჭინაძე.

თვითაქტუალიზაცია კარლ როჯერსის მიხედვით

კარლ როჯერსი უდიდესი სახელია ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ისტორიაში. ჰეიგბლუმის 2002 წლის კვლევაში, რომელშიც გამოყენებული იყო „ცნობადობის“ განმსაზღვრელი 6 ძირითადი კრიტერიუმი (მაგალითად, როგორებიცაა: ციტირება, აღიარება და სხვ.), როჯერსმა მე-20 საუკუნის ყველაზე სახელგანთქმულ ფსიქოლოგთა შორის მე-6 ადგილი, ხოლო კლინიცისტებში მე-2 ადგილი დაიკავა (ზიგმუნდ ფროიდის შემდეგ).

კარლ როჯერსი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰუმანისტი ფსიქოლოგი იყო. იგი ეთანხმებოდა აბრაამ მასლოუსა და სხვა ჰუმანისტი ფსიქოლოგების ძირითად დაშვებებსა და ვარაუდებს, თუმცა, როჯერსი ამატებს: იმისათვის, რომ ადამიანი პიროვნულად გაიზარდოს, განვითარდეს, საჭიროა გარემომ უზრუნველყოს ის გულწრფელობით, მიმღებლობით (დანახულ იქნან უპირობო დადებითი დამოკიდებულებით) და ემპათიით. ამის გარეშე ურთიერთობები და ჯანმრთელი პიროვნება ისე ვერ განვითარდება, როგორც უნდა განვითარდეს, ისევე, როგორც ხე ვერ განვითარდება მზის სინათლისა და წყლის გარეშე.

ადამიანები ხელს უწყობენ ჩვენს პიროვნულ ზრდა—განვითარებას ჩვენდამი გულღია, გულწრფელი დამოკიდებულებით; პირადი გრძნობების, მისწრაფებების, მიზნების, ოცნებების, შიშების, შეხედულებების გულწრფელი გაზიარებით, კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით. ამით ისინი გვაჩვენებენ, რომ გვაფასებენ, მიუხედავად ჩვენი ნაკლოვანებებისა.

აღსანიშნავია, რომ როჯერსის მიხედვით, თვითღირებულების გრძნობა პირველად ადრეულ ბავშვობაში მშობლებთან ინტერაქციისას ფორმირდება. ასე რომ, ადამიანებს პატარა ასაკიდანვე სჭირდებათ სხვა ადამიანებისაგან მოწონება ანუ უპირობო დადებითი შეფასება (დამოკიდებულება). ამ შემთხვევაში ისინი თავისუფლად გრძნობენ თავს, არ ეშინიათ შეცდომების დაშვების, მზად არიან ამ გზით მიიღონ გამოცდილება. იმ ადამიანებში, რომლებიც ბავშვობაში უპირობო დადებით შეფასებას იღებდნენ მშობლებისგან, უფრო მეტი ალბათობით, მომავალში წარმატებით მოხდება თვითაქტუალიზაცია.

მეორე მხრივ, პირობითი დადებითი შეფასებისას, ბავშვებმა შესაძლოა იფიქრონ, რომ მშობლებს ისინი მხოლოდ თავიანთი საქციელის გამო უყვართ და არა იმ მიზეზით, თუ რას წარმოადგენენ, ვინ არიან ისინი პიროვნულად. ამან შესაძლოა ბავშვის პიროვნულ განვითარებას პრობლემები შეუქმნას. მაგალითად, ბავშვს უყვარს ნაძვის ხიდან სათამაშოების ჩამოხსნა და სროლა, დედა კი აძლევს შენიშვნას: „ცუდი ბიჭი/გოგო ხარ!“ შენიშვნის მსგავსმა ფორმულირებამ, შესაძლოა, ბავშვს აფიქრებინოს, რომ ის მხოლოდ მაშინაა დაფასებისა და სიყვარულის ღირსი, როდესაც კარგად იქცევა. ამის შემდეგ ბავშვის თვითგანცდა აღარაა „მე მომწონს ნაძვისხიდან სათამაშოების ჩამოხსნა და სროლა,“ არამედ „მე მომწონს ნაძვისხიდან სათამაშოების ჩამოხსნა და სროლა. ეს კი ცუდი საქციელია. მაშასადამე, მე ცუდი ბიჭი ვარ.“ აუცილებელია ხაზი გავუსვათ ბავშვის საქციელს და არა პიროვნებას. ცუდი ბავშვი კი არა, ის საქციელია, რასაც ის აკეთებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვი იშვიათად შეეცდება მომავალში საკუთარი „მე“-ს მიერ ნაკარნახევით მოქმედებას, ნაკლებად გამოავლენს თავის პოტენციალს და მეტად დაეყრდნობა მშობლებისა და გარემოს მიერ ნაკარნახევ „მე“-ს .

როჯერსის აზრით, „ფენომენოლოგიური ველი“ განცდაში მოცემული გამოცდილებების ერთობლიობაა-ყველაფერი ის, რაც ცნობიერისათვის პოტენციურად ხელმისაწვდომია, ის, რაც ყოველ მოცემულ მომენტში ორგანიზმში მიმდინარეობს. იგი არის სუბიექტური, სიმბოლიზებული რეალობა, რომლის გაგებაც სხვა ადამიანს მხოლოდ ემპათიის საშუალებით შეუძლია. ასე რომ, თუ მართლა გვინდა გავუგოთ ადამიანს, დავეხმაროთ და განვითარებაში ხელი შევუწყოთ, უნდა შევეცადოთ მის „ფენომენოლოგიურ ველში“ შეღწევას. ამის ერთადერთი საშუალება კი ემპათიაა.

როჯერსს სჯეროდა, რომ ყველა ადამიანს შეეძლო თვითრეალიზება ცხოვრებაში, თუმცა იმისათვის, რომ ადამიანმა მთლიანად გამოავლინოს თავისი პოტენციალი, იგი კონგრუენტულ ანუ ურთიერთთავსებად, შეთანხმებულ მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ თვითაქტუალიზება ხდება მაშინ, როდესაც ადამიანის „იდეალური მე“ კონგრუენტულია მის რეალურ ქცევასთან, ანუ, როგორც ვხედავ ჩემს თავს ობიექტურ რეალობაში. რაც უფრო ახლოა ჩემი „რეალური მე“-ს სუბიექტური თვითაღქმა ჩემს „იდეალური მე“-სთან, მით უფრო დიდი შანსია თვითაქტუალიზაციის. მაგალითად, თუ ადამიანის „იდეალური მე“ წარმატებულ მსახიობთან ასოცირდება, ხოლო მისი ახლანდელი „მე“ ტანსაცმლის მაღაზიის კონსულტანტთან, ანუ „იდეალურ მე“-ს და „ახლანდელ მე“-ს შორის დიდი სხვაობაა, დიდი ალბათობით, ეს ადამიანი ვერ თვითრეალიზდება.

კარლ როჯერსი თვითაქტუალიზებულ ადამიანს „სრულად ფუნქციონირებად პიროვნებას“ უწოდებდა. ასეთი ადამიანის ხუთი მახასიათებელია:

1. გამოცდილებისადმი ღიაობა – როდესაც პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილება თანაბრადაა მიღებული. უარყოფითი გრძნობები უარყოფილი კი არაა, არამედ გაცნობიერებული და დაძლევადი.

2. ეგზისტენციალური ცხოვრება - ერიდები წინასწარ განსჯას, ცრურწმენებს, შეგიძლია იცხოვრო და სრულად დაიფასო აწმყო. სულ წარსულს და მომავალს არ მისჩერებიხარ. მუდამ შეხებაში ხარ განსხვავებულ ცხოვრებისეულ მოვლენებთან.

3. ნდობა — როდესაც საკუთარ თავს ენდობი, დამოუკიდებლად იღებ გადაწყვეტილებებს.

4. კრეატიულობა — კრეატიული აზროვნება და რისკის მიღება პიროვნების ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. მუდამ კომფორტის ზონაში ყოფნა მიუღებელია.

5. „სავსე“ ცხოვრება — ადამიანი ბედნიერია, კმაყოფილია თავისი ცხოვრებით და მუდამ ახალ გამოწვევებსა და გამოცდილებებისაკენ მიისწრაფვის.

კარლ როჯერსის აზრით, ადამიანის ქცევას თვითრეალიზაციის ტენდენცია მართავს. ესაა ზრდის პროცესი, რომელიც პიროვნების ძალების გაშლას გულისხმობს.

და ბოლოს, სტატიას როჯერსის ციტატით დავასრულებ:

„კარგი ცხოვრება პროცესია და არა ყოფიერების მდგომარეობა. ესაა მიმართულება და არა დანიშნულების ადგილი.“

ერეკლე ჩერქეზიშვილი
თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი

მე მაშინ მოვკვდები...

საზოგადოებაში არიან გამორჩეული ადამიანები, რომლებსაც „კოლორიტს“ ვეძახით. ერთ-ერთი ასეთი ავაქ ავაქიანია. ავაქი იანვარში 86 წლის გახდა. მიუხედავად ასაკისა, ის ყოველდღიურად ჩნდება საზოგადოებაში, გამორჩეულად სუფთად ჩაცმულ დახურული – ნაკეცზე გატკეცილი შარვლით, ქათქათა პერანგით, გაპრიალებული ფეხსაცმლით. აშკარად ეტყობა კარგი დიასახლისის ხელი. იმას, თუ ვინ არის ის, საიდან მოვიდა და როგორ გახდა ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი, თავად გვიყვება:

– სასომხეთის ერთ-ერთ გამორჩეულ ქალაქ ეჩმიადინში დავიბადე. ორი ძმა და ორი და ვიყავით. სამი წლისას დედა მომიკვდა, 7 წლისას – მამა. დავრჩით ობლები ბიცოლას მეთვალყურეობის ქვეშ. რთული ბავშვობა მქონდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩამოვედი წითელწყაროში, აქ მამიდაჩემი ფენია აიდინიანი იყო გამოთხოვილი, ჯარში აქედან გამაცილეს, აქავე დავბრუნდი ჯარის ვადის მოხდის შემდეგ და აქ, ამ ხალხთან ერთად ჩაიარა ჩემმა ხანგრძლივმა სიცოცხლემ თავისი სიხარულით და ტკივილით.



ავაქას ყველა იცნობს ჩვენს ქალაქში და არა მხოლოდ ქალაქში, სრულიად რაიონში. ის ცნობილი კლარნეტისტია. გაინტერესებთ, საიდან დაიწყო მისი კლარნეტთან „მეგობრობა“, როგორ და სად შეისწავლა მისი დაკვრა? მოვუსმინოთ: - სულ პატარა ვიყავ, ეჩმიადინში ჩვენს კუთვნილ კამეჩზე შემოვჯდებოდი, ხელში პატარა, უბრალო ჯოხს დავიჭერდი, თან „ვუკრავდი“ და თან ვმღეროდი. თითქოს ამ ჯოხიდან უნებურად რაღაც გამორჩეული ჰანგები ჩამესმოდა. მერე ბაქოდან ჩამოსულ ერთ მუსიკის მასწავლებელს მოვუსმინე და მივხვდი, რომ ეს ის ხმები იყო, რომელსაც მე ვისმენდი. ის კაცი კლარნეტის დაკვრას ასწავლიდა. მეც მასწავლა და მას მერე ჩემი სიყვარული კლარნეტის მიმართ არ განელებულა. ახლაც ისეთი გატაცებით და ინტერესით ვუკრავ, როგორც მაშინ. კლარნეტის დაკვრა ადვილი არ არის. ბევრმა ვინმემ სცადა ესწავლა, მაგრამ ამაოდ. ის კლასიკური ინსტრუმენტია, დახვეწილ სმენასთან, შრომისმოყვარეობასთან ერთად გამორჩეული ფიზიკური მონაცემები, სუნთქვის სიძლიერე და რეგულირება სჭირდება. 19 წლის ვიყავ, ეს კლარნეტი რომ ვიყიდე. მაშინვე ნახმარი იყო. მას მერე 67 წელია, ხელში მიჭირავს, ვუვლი, ვუფრთხილდები. ყველას უკვირს, ასეთი რა სიძლიერის ფილტვები გაქვს, რომ დღესაც არ გიჭირს დაკვრაო. ამისათვის მადლობას ღმერთს ვეუბნები. მე მაშინ მოვკვდები, როცა კლარნეტის დაკვრას ვეღარ შევძლებ, მე მასში ვაქსოვ ჩემს ტკივილსაც და სიხარულსაც.

მუსიკალური ნიჭი ღმერთმა უბოძა, მაგრამ მარტო ამით ცხოვრების გატანა ძნელი იყო, მით უმეტეს, ოჯახის პატრონი კაცისათვის.

ოჯახის შექმნის ისტორიას მისი მეუღლე ნანო გვიყვება:

– 1940 წელს დავიბადე წალკაში. ჩემი გვარი და სახელი ვართულან მანუკიანია, მაგრამ ყველა ნანოს მეძახის. საშუალო სკოლა ახალი დამთავრებული მქონდა. სულ რაღაც 19 წლის ვიყავ. წითელწყაროში ახლობლის ქორწილზე ჩამოვედი. ავაქა იმ ქორწილში კლარნეტს უკრავდა. მოვეწონე და ოჯახს ხელი სთხოვა ისე, როგორც წესი და რიგია. ნიშანი მომიტანეს, ერთი წელი დანიშნულები ვიყავით. სუფთა გრძნობით და წრფელი სიყვარულით გავლიეთ ის წელი, შევუღლდით და აგერ, 60 წელია, ერთად ვართ. ობოლი იყო, ბევრი არაფერი გვქონდა, საჭირო იყო გვეშრომა, რომ ოჯახი ფეხზე დამდგარიყო. ორი ვაჟი შეგვეძინა- მანუკი და ედვარდი. ავაქს მიაჩნდა, რომ ოჯახის უფროსი კაცი იყო და მისი ვალდებულება იყო ჩვენი რჩენა. მე, ძირითადად, შვილების აღზრდით და საოჯახო საქმეებით ვიყავ დაკავებული. ის კი დღე და ღამ მუშაობდა. დღისით რაჩიკა დანელიანთან და მიტო ქართველიშვილთან ერთად სარემონტო სამუშაოებს ასრულებდა როგორც სახელმწიფო დაწესებულებებში, ასევე კერძოდ, მოსახლეობაში, ღამე კი კლარნეტს უკრავდა ქორწილებში, ძეობებში თუ სხვა სადღესასწაულო და სამგლოვიარო ცერემონიალებზე. ჩვენი მიზანი იყო, შვილებისათვის განათლება მიგვეცა, რომ სპეციალობა ჰქონოდათ და ცხოვრებაში არ დატანჯულიყვნენ. ორივემ რუსული სკოლა დაამთავრა. კარგად სწავლობდნენ. ჯარი რომ მოითავეს, სწავლა რუსეთში, ქალაქ ვლადიმირში გააგრძელეს. ორივემ პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა, ორივემ სარკინიგზო-საინჟინრო განხრით. სულ გზაზე ვიყავით გამოკიდებულები და სულ გზას გავყურებდით, მთელ ჩვენს მონაგარს მათ კეთილდღეობაში ვდებდით. მაგრამ მშობლები ოცნებობენ, ათასნაირ მიზნებს დასახავენ შვილების მომავალზე ფიქრისას. ბედისწერა კი ხანდახან ისეთი დაუნდობელია... 39 წლის ასაკში უმცროსი ვაჟი- ედვარდი გარდაიცვალა. დაუოჯახებელი, უცოლშვილოდ წავიდა ამ ქვეყნიდან, დღემდე არ ვიცით, ზუსტად რა მოხდა, ცოტა ავადმყოფობდა კიდეც. ეს იყო 2004 წელს. ყველაზე დიდი უბედურება კი ის იყო, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე მისულები არ გაგვიშვეს, არც სათანადო საბუთები გვქონდა, არც ვიზა, დაძაბული ვითარება იყო და... შვილი ვერ დავიტირეთ, დღემდე არ ვყოფილვართ მის საფლავზე. მართალია, მანუკმა და დეიდამ უპატრონეს, მაგრამ ჩვენს მოურჩენელ ტკივილს ეს წამლად არ ედება. უამრავი ქართველი ცხოვრობს რუსეთში, სიკვდილიც არის მათ შორის და სიხარულიც, საქართველო-რუსეთის ამ გაუთავებელ და გაურკვეველ ურთიერთობაში რამდენი ჩვენნაირი ადამიანი ცხოვრობს მიუწვდომლობის დიდი ტკივილით...

ნანოს მეორე ოთახიდან ჩარჩოში ჩასმული დიდი სურათი გამოაქვს, ეს ედვარდია,- ამბობს და ცრემლიანი თვალებით შეჰყურებს. ავაქა თავჩაღუნული ზის. სურათიდან კი ისეთი ლამაზი ახალგაზრდა იყურება, მართლა რომ დაგენანება მიწისათვის.

ნეტავ საქართველოდან სულ არ წასულიყვნენო, – ნატრობს დედა.

– ასეთი ყოფილა წუთისოფელი, რაც უფრო დიდხანს ცოცხლობ, ტკივილიც მეტი გხვდება, – ამბობს ავაქა და იმ მეგობრებს იხსენებს, ვინც მის გვერდით აკორდეონს ან დოლს უკრავდა და დღეს აღარ არიან. წავიდნენ ამ ქვეყნიდან გივი ბოსტოღანაშვილი თუ გივი ალუღიშვილი, დანიელი, მიხეილი და თემურ გულაშვილები, მეგარმონე პავლე და სხვები, ყველა ნათელში ამყოფოს ღმერთმა. გამორჩეული პოპულარობით სარგებლობდა მედოლე იროდი ათანელიშვილი. მასთან ერთად დაკვრას არაფერი სჯობდა. ერთხელ, ამ 10-15 წლის წინ, ბაზართან სასურსათო მაღაზიაში შევედი, ხალხი ვიღაც ახალგაზრდას უყურებდა. საზღვარგარეთელს ჰგავდა. ჩემსკენ წამოვიდა ღიმილით, ხალხმა მეც ყურება დამიწყო, მოვიდა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა: რით გცეთ პატივიო. მე გონება დავძაბე, ვიხსენებდი

და ვერც ვიხსენებდი, ვინ იყო. მიხვდა, რომ დავიბენი და მკითხა: ვერ მიცანი, მე ხომ შენი მეგობრის იროდას ბიჭი ვარო. გადავირიე, ძალიან გამიხარდა, ერთმანეთს კარგა ხანს ვეფერებოდით. შორიდან ვიცოდი, დიდი მომღერალი რომ გახდა ლადო ათანელიშვილი, მაგრამ პირადად არ მენახა. ის დღე ხშირად მახსენდება და მსიამოვნებს.

ქართული სიმღერების გარდა თუ გქონიათ რეპერტუარში სხვა სიმღერები?

ძირითადად ქართულს ვასრულებდით, მაგრამ ვიცოდით რუსული, აზერბეიჯანული, სომხური და სხვა სიმღერები, რათა დაგვეკმაყოფილებინა შეკვეთები, რომელსაც ხალხი გვაძლევდა. ყოფილა ბევრი დაკვეთა და „შაბაშიც“, მაგრამ ბევრჯერ ყოფილა პატივისცემასა და მადლობაზე რომ გვიმღერია. ფულზე დახარბებული არასოდეს ვყოფილვართ, მუდამ ვითვალისწინებდით ოჯახის შესაძლებლობებს.

-ქალბატონო ნანო, როგორ ეგუებოდით სულ ქეიფსა და ლხენაში რომ იყო თქვენი ქმარი და თითქმის გათენებამდე ვერ ბრუნდებოდა სახლში, არ ეჭვიანობდით?

-არა, ეჭვიანობით არ ვეჭვიანობდი, ჩვენი ურთიერთობა თანაგრძნობასა და ნდობაზე იყო აწყობილი, მაგრამ მუდამ ვღელავდი და მის დაბრუნებას მოუთმენლად ველოდი, რადგან ვშიშობდი, ვინმე შარიანს არ გადაჰყროდა, თორემ თვითონ ძალიან თავშეკავებული იყო, არ უყვარდა სმა და ღრეობა.

- ახლაც ძალიან სიმპატიური ქალბატონი ბრძანდებით, ამბობენ, ახალგაზრდობაში კიდევ უფრო ძალიან ლამაზი იყავით, არც თვითონ ეჭვიანობდა?

- არა, არა, ნამდვილად. მარტო იმას მეტყოდა ხოლმე:ორი თვალი რომ წინა მაქვს, ორი თვალიც კეფაზე მაქვს და ყველგან ყველაფერს ვხედავო. ეს ახლა გაუბრალოვდა ერთგულება, თორემ ჩვენს დროს სინდისნამუსი ქალისთვისაც და კაცისთვისაც დიდი ღირსების და პასუხისმგებლობის საქმე იყო ოჯახის და შვილების წინაშე.

ბატონო ავაქ, დღეს თუ გყავთ თანაგუნდელები?

– ხანდახან, საჭიროებამ თუ მოითხოვა, მე, გივი გოჩიტაშვილი და გივი გოგილაშვილი ვემსახურებით მსურველებს და, თავს არ ვიქებ, მაგრამ არც თუ ისე ურიგოდ.

- არ გიფიქრიათ სხვაგან ცხოვრებაზე?

- მიუხედავად იმისა, რომ სომხური დიასპორა მთელს დედამიწაზეა გაშლილი, არასოდეს გვიფიქრია სხვაგან ცხოვრებაზე. ეჩმიადინში ავაქას ბიძაშვილმა ბინა იყიდა, გვითხრა, იცხოვრეთ, როცა გექნებათ, ფული მაშინ მომეცით, თუ ვერ მომცემთ, არც ეგ არის პრობლემაო. ვერ გავძელით, რუსეთში შვილებთანაც გვიფიქრია წასვლა, მაგრამ... ვერსად წავედით. წითელწყაროში რომ დავბრუნდებოდით, სხვანაირად ვსუნთქავდით, თითქოს მზეც სხვანაირი იყო, ძალიან გვიყვარს აქაურობა და აქაურები. ეს კორპუსი, სადაც ახლა ჩვენ ვცხოვრობთ, ჩვენს ნასახლარზეა აშენებული. ორი ოთახი მოგვცეს და ესეც ლამის ჭირად გაგვიხდა.

-რატომ?

-ვხედავთ, რომ ჩვენს გარშემო სოციალურ დახმარებას ისეთი ხალხი ღებულობს, რომელიც ჩვენზე შეძლებულად ცხოვრობს. განცხადება შევიტანეთ, ჯერ ტელევიზორი, წყლის გამაცხელებელი და მაცივარი გაქვთ და არ შეიძლებაო, მერე დიდი საცხოვრებელი ფართობი გაქვთო, ოროთახიანი ბინა დიდია?! ავაქას დიდი ხანია, შაქრიანი დიაბეტი აქვს. სამედიცინო ფორმა № 100 მოიტანეთო, მივიტანეთ, ახლა 2 ქულით მეტი მოგივიდათო და ამ ორ ღრმად ხანდაზმულ ადამიანს ორი ქულის გულისთვის დახმარება არ გვაღირსეს. თვეში 50 ლარზე მთელი დღე გვიან ღამემდე არაოფიციალურად მუშაობს ჩემი მეუღლე ბაზრის „ბირჟაზე“. ვიდრე დაბრუნდება, ღამე ძილს ვერ ვიხშირებ, მეშინია, ან მანქანა არ დაეჯახოს, ან ჯგუფ-ჯგუფად მოწანწალე ძაღლებმა არ დაგლიჯონ. არ ვწუწუნებთ, მაგრამ ეს ხომ უსამართლობაა.

არ მინდა, წერილი ასეთი უსიამოვნო განწყობით დავამთავრო. ამიტომ, გადმოგცემთ ჩემს ემოციას, რომელიც ავაქას შემოქმედებითმა გამოსვლამ გამოიწვია ჩემში. როცა ვთხოვე, კლარნეტი მოიტანე მეთქი, მეგონა, დიდი ხვეწნა დამჭირდებოდა, რომ დაეკრა. არა, მან გამოიტანა შავ ყუთში ფაქიზად შენახული საყვარელი ინსტრუმენტი, ააწყო, წელში გაიმართა, თვალები მილულა და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო... 15-20 წუთი ფეხზე ვიდექი და ჩემს წინაშე მდგომ თავის სქმეზე შეყვარებულ, გამორჩეულ ადამიანს ვუსმენდი, ჩემს წინ იდგა 86 წლის კაცი, რომელიც 20 წლის ჭაბუკის გატაცებით და შესაძლებლობებით უკრავდა. ოთახი სავსე იყო ტკბილი ქართული ჰანგებით.

– ავაქ, თქვენ უკვე 70 წელია, დედოფლისწყაროში ცხოვრობთ. ამბობენ, ქ. დედოფლისწყაროს კულტურის სახლის ქვემოთ, მარჯვენა მხარეს, სომხური ეკლესიის ნარჩენი კედლებიაო. გსმენიათ რაიმე ამ ეკლესიის შესახებ?

– არა, რაც მე აქ ვცხოვრობ, სომხებს რაიმე სალოცავი არ ჰქონიათ. ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. საინტერესო თემაა. გთხოვთ, გაზეთში დაწეროთ, იქნებ ვინმემ რაიმე იცოდეს.

დავემშვიდობე ჩემს დარბაისელ მასპინძლებს და მთელი კვირა იმ ემოციებით ვიყავ დატვირთული, რაც ამ სომხურ ოჯახში მივიღე ქართული სულის გამოვლენით.

კვლავაც დიდხანს იცოცხლეთ, ქალბატონო ნანო, ბატონო ავაქ, თქვენ ქალაქის ნამდვილი კოლორიტი ხართ.

ნაირა გორაშვილი

შირაქის სკივრი

1955 WLIS TEBERVALI

● WITELWYAROS RAIKOOPKAVSIRMA AM DREEBSI GAXSNA LIMONATIS AXALI QARXANA. QARXANA DRESI 1000-1500 BOTL MARALXARISXOVAN LIMONATS USVEBS, XOLO ZAFXULSI CAMOASXAVS 3000 BOTLAMDIS.

● BEVRI SIAXLEA SOFEL OZAANSI. MDINARE IVRIS GARMA, CXVRIS SAZOVRIS ATVISEBA - SEUZLEBELI XDEBODA XIDIS UQONLOBIS GAMO. KOLMEURNEOBIS BRIGADAM KI GADAWYVITA MDINARE IORZE XIDI AEGO. UKVE GAKETDA XIDI, RAMAC MECXVAREEBS SASUALEBA MISCA CXVARI SAZOVRAD WAIYVANON MDINARIS MEORE NAPIRZEC. ASEVE, KOLMEURNEOBIS GAMGEOBAM SASOFLO KLUBIS KETILMOWYOBISTVIS TANXA GAIRO. GANZRAXULIA MOKLE DROSI SEIZINON SKAMEBI DARBAZISTVIS.

● DRITIDRE KETILMOWYOBILI XDEBA RAIONIS CENTRI. SENDEBA AXAL-AXALI, LAMAZI, MRAVALBINIANI, OR DA SAMSARTULIANI BINEBI. QALAQ WITELWYAROS CENTRSI, STALINIS QUCAZE RVA BINIANI, ORSARTULIANI MUSATA SACXOVREBELI SAXLI ASENDA, ROMELIC AM DREEBSI GADAECA SAEQSPLOATACIOD.

● `ARBOSIKIS KLUBSI MOITANES KINOSURATI - NATO VACNAZE. MOSAXLEOBA ARFRTOVANEBIT SEXVDA NATO VACNAZIS CXOVREBISA DA MORVAWEOBIS AMSAXVELI KINOSURATIS SOFELSI MOTANAS. BILETEBIC WARMATEBIT GAIYIDA. KINO DAIWYO, MAYUREBELI SIYVARULIT UCQERO- DA QARTULI KINOXELOVNEBIS SIAMAYES, MAGRAM MALE SIXARULI SINANULMA SECVALA. CAQRA SINATLE, SEWYVITES CVENEBA. BEVRI LODINIS -SEMDEG KINOMEQANIKOSMA GAMOACXADA, `CVENEBA ARARIQNEBA, WADIT SAXLEBSIO~. ASETI SEMTXVEVEBI SOFELSI XSIRIA. DROA, RAIONIS KULTURIS GANYOFILEBAM MIIROS SATANADO ZOMEBI, ROM ARBOSIKIS KLUBSI `ARBOSIKULI~ WESEBIT CVENEBIS NACVLAD KINOFILMEBI TARDEBODES DADGENILI WESIS TANAXMAD~. PATIVISCEMIT, SEWUXEBULI MAYUREBLEBI.

● IZRDEBA QVEMOQEDEL KOLMEURNETA SEMOSAVALI, MAGRAM ISINI SAMARTLIAN UKMAYOFILEBAS GAMOSTQVAMEN, ROM MOKLEBULNI ARIAN KULTURUL GARTOBAS, AR TARDEBA KINO SEANSEBI. JER KIDEV 1949 WELSI DAIWYO QVEMO QEDIS KLUBIS MSENEBLOBA, MAGRAM AR ESVELA. MSENEBLOBISTVIS SAWIROA XE TYIS MASALA, MAGRAM AM MXRIV NAKLEB DAXMAREBAS GVIWEVS RAIONIS SAKOLMEURNEO MSENEBLOBIS GANYOFILEBA. ARADA, SAINTERESOA, RODIS DAMTAVRDEBA KLUBIS MSENEBLOBA?

● OZAANELMA MSENEBLEBMA KOLMEURNEEBIS DAXMAREBIT AASENES SKOLIS AXALI SENOBA. AXLA KI MIMDINAREOBS SENOBIS SIGA SAMUSAOEBI. SKOLA SAEQSPLOATACIOD MIMDINARE WELSI UNDA GADAECES. AMAS GARDA, OZAANIS KOLMEURNEOBAM SEIZINA SAXERXI DAZGA. IS MOMSAXUREOBAS GAUWEVS ROGORC SOFLIS MOSAXLEOBAS, ISE KOLMEURNEOBAS. SAXERXI AM DREEBSI DAIWYEBS MUSAOBAS.

● SIRAQIS MTS-IS MEQANIZATOREBMA SAWARMOO GEGMA GADAWARBEBIT SEASRULES. MAGRAM SAMARTLIAN UKMAYOFILEBAS GAMOSTQVAMEN, ROM MATTAN MOISUSTEBS KULTURUL-SAGANMANATLEBLO MUSAOBA. AR UCVENEBEN KINOSURATEBS, AR TARDEBA LEQCIA-MOXSENEBEBI.SAWIROA PARTIIS RAIKOMIS PROPAGANDISA DA AGITACIIS DA KULTURIS GANYOFILEBAM ARNISNULI MDGOMAREOBIDAN SATANADO DASKVNEBI GAAKETOS DA AM SAQMES DROULAD GAMOEXMAURON.

1978 WLIS TEBERVALI

● UGULO XINKALI DA USULGULO GAMYIDVELI. RATOM DAMKVIDRDA SAYOFACXOVREBO MOMSAXUREBIS ZOGIERT OBIEQTSI ZEDMETIS GADAXDIS MAVNE CVEULEBA? RADGAN WITELWYAROSI MWVANILI ZVIRIA, XORCI KI XSIRAD AR ISOVEBA, SOFEL WITELWYAROSI YOFIL BAZARTAN MDEBARE SASADILOS MUSAKEBMA XINKLIS SEMADGENLOBIDAN XORCTAN ERTAD MWVANILIC AMOIRES. XINKALS GULI ROM GAVUSINJET, SWORED ROM GULI GVETKINA. MEBUFETE ABULASVILMA GAMOGONEBAS XELAD AXADA FARDA. XINKALSI XAXVIS, WIWAKISA DA RORIS QONIS METI ARA IYORA.. IMIS MAGIVRAD, ROM ABULASVILS SINÐISIS QENJNA EGRZNO DA GAWITLEBULIYO, AQET DAGVIWYO CXUBI. XINKALI MAGIDAZE DAAXETQA DA GAIQCA - ARAR RIRS AQ MUSAOBAO.

● UWYLOD GACEMULI PREMIEBI. WITELWYAROSI AR ARIS WYALI DA ES MWARE ARIAREBA MIIRET, ROGORC REDAQCIIS BODISI UNEBLIE SECDOMAZE. GAXSOVT, ROGORI SIXARULIT MOGILOCAT REDAQCIAM AXALI, KOOPERIREBULI WYLIS SEMOSVLA WITELWYAROSI. CVENC TQVENTAN ERTAD GVEGONA, ROM AMIERIDAN TAVZE SASXMELAD GVEQNEBODA CIVI, GEMRILI WYALI, MAGRAM QALAQSI ONKANEBI DASRA. MIZEZI CVENI RAIONIS ZOGIERTI ADAMIANIS USULGULO DAMOKIDEBULEBAA ISETI SAQMIS MIMART, ROGORIC WYALIA. QALAQ WITELWYAROSI 12 000-SULZE METI MOSAXLEA, AQEDAN 5 845 ABONENTIA. ISINI AM ADAMIANEBIS IMEDADARIAN. SARSAN MEORE DA MESAME KVARTALSI WYALSADENIS MUSA-MOSAMSAXUREEBZE 1 278 MANETI PREMIA GAICA. QALAQI WYLIS MWVAVE NAKLEBOBAS GANICDIS DA IQ IYVNEN ADAMIANEBI, ROMELTAC PREMIA MIIRES. UFLEBA AR GVQONDA, PREMIA AR MIGVERO, DAMSJIDNENO - GVITXRA KOMUNALUR SAWARMOTA KOMBINATIS DIREQTORMA KAKO TETELOSVILMA. RARAC ARA GVJERA, CVENSI VINMES PATIOSNEBISTVIS SJIDNEN.

● UAXLOES XANSI RAIONSI BEVRI RAM GAKETDA MOSAXLEOBIS SAYOFACXOVREBO DA SAVAWRO MOMSAXUREBIS GAUMJOBESEBISTVIS.- SATANADO KADREBTAN ERTAD DID ROLS ASRULEBS MATERIALUR-TEQNIKURI BAZAC. AXALI TIPIS MARAZIEBI, TU SAVAWRO CENTREBI. ORI WLIS WIN WITELWYAROS CENTRSI GAIXSNA RAIKOOPERATIVIS ORSARTULIANI MARAZIA, E.W. `SAVAWRO CENTRI~, SADAC MSROMELEBS SEUZLIAT SEIZINON ROGORC SASURSATO, ISE SAMREWVELO PRODUQCIA. CENTRMA KIDEV UFRO DAAMSVENA QALAQI.

● SOFEL ARXILOSKALOSI MCXOVREBMA IVANE GIORGIS ZE BUBUNAURMA DA NIKOLOZ ALEQSIS ZE BURDULMA MOILAPARAKES, RAME SEXVEDRODNEN ERTMANETS DA QVEMO QEDSI XVTISO XORNAULIS BOSLIDAN MOEPARAT DEKEULI. GAMOIYVANES TOKSEBMULI DEKEULI, WAIYVANES BURDULIS EZOSI, DAKLES DA XORCI ORNAWILAD GAIYVES. MEORE DRES GAIGES, ROM MILICIIS MUSAKEBI BINEBSI CXREKAS ATAREBDNEN. SESINEBULMA NADAVLI SEFUTVIS GARESE ORMOSI CAFLA. ORMODAN MILICIAM XORCI AMOIRO, BURDULI DA BUBUNAURI KI MIECNENSISXLIS SAMARTLEBRIV PASUXISGEBASI. SAKALXO SASAMARTLOM, GIORGI GONASVILIS TAVMJDOMAREOBIT, GANIXILA SISXLIS SAMARTLIS SAQME DA SAQONLIS QURDEBS OR-ORI WLIT TAVISUFLEBIS ARKVETA MIUSAJA.

● SEURIGEBELI BRZOLA - NEGATIUR MOVLENEBS! WITELWYAROSI REIDI CATARDA, RASIC REDAQCIIS KORESPONDENTEBI, FINGANIS REVIZORI, FINGANIS INSPEQTORI, SSS RAIGANYOFILEBIS UFROSI OPERMUSAKI DA KOMISIIS SXVAWEVREBI MONAWILEOBDNEN. VIS AZLEVS XELS MAGARI SASMELEBIS SAZKVEBIS STAMPIS GARESE GAYIDVA? RATOM ATYUEBEN MOMXMAREBELS ZOMAWONASI? GAUGEBARIA, SAMZAREULOSI MZAREULEBI ARIAN, TU DAMLAGEBLEBI. DAXLEBSI KI KVLAVAC SPECXALATIS GARESE DGANAN. MARAZIEBSI AR AQVT SAVALDEBULO ASORTIMENTIS SAQONELI. MRAVALI REIDIS MIUXEDAVAD, ISEV DA ISEV ANTISANITARIAA VAWROBIS OBIEQTEBSI. VIS AWYOBS MUSAOBA UQVITROD?

(STILI DACULIA)

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

მონატრება

ზურაბ ქავთარაძე



21 თებერვალს შენი დაბადების დღეა, ძვირფასო, პირველად ვხვდებით ამ დღეს უშენოდ, ზურა. სულით და გულით გილოცავთ, ყველაფერს საუკეთესოს გისურვებთ იმ სამყაროში, სადაც სამუდამოდ გადასახლდი.

მოვალთ შენს საფლავთან, იქ მოვიკლავთ შენი მოფერების სურვილს. სანთლებს აგინთებთ და შენთვის ვილოცებთ. შენს მეგობრებს მოვიწვევთ, შენთვის გამომცხვარ ტორტზე სანთლებს შენს შვილიშვილებს ჩავაქრობინებთ. შენს მოსახელე ზუკას მთიულურს ვაცეკვებთ, მთიულო კაცო(როგორ გეამაყებოდა სიცოცხლეში) იქნებ გეამოს...

რა გაუსაძლისი ტკივილი დაგვიტოვე, ზურაბ, როგორ გვიჭირს უშენობა, როგორ გვენატრები. შენი პატარა სანდრო ნატრობს: ნეტავ მალე გავიზარდო, ჩემი პაპიკო გავაცოცხლო, მიწიდან ამოვიყვანო და ჩავეხუტოო.

უსაზღვროა ჩვენი დარდი შენი უდროოდ წასვლის გამო, მაგრამ წარუშლელია შენი სახელი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შენი წასვლა, მართლაც განიცადა ხალხმა, ყველას დააკლდი, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი. უსაზღვროა იმ სიამაყის გრძნობა, როდესაც შენი სახელის ხსენებისას ხალხის თვალებში ცრემლებს ვხედავთ და ამ სიტყვებს ვისმენთ: რა კაცი დავკარგეთო. დიახ, შენ კაცური კაცის სახელით იცხოვრე და ამ სახელით წახვედი ამ ქვეყნიდან. ჩვენ კი, ამაყად თავაწეულები დავდივართ შენი დათესილი სიკეთის წყალობით.

ნათელში იყავი, ძვირფასო, ალალი იყოს შენთვის დაღვრილი ცრემლი და ჩვენი ხელით ანთებულმა სანთელმა გაგინათოს იმქვეყნიური სასუფეველი. ამინ!!!

შენთვის მტირალი შენი ოჯახი

ზურაბ ქავთარაძე

ჩვენს ხელში გაზრდილო, ჩვენო ერთადერთო და საფიცარო ძმაო, 62 წელი გვახარებდი შენი სიცოცხლით, ვაჟკაცობით. დიდი იმედი იყავი ჩვენი, შენი ცოლ-შვილის, შვილიშვილების, დისშვილების, საზოგადოების. გწყუროდა სოცოცხლე, გული ვეღარ დაიმორჩილე, ზუსტად იმ დღეს, 29 ივლისს, რომელი თვე და რიცხვიც სოცოცხლეში ძალიან გძულდა, დაგვეშვიდობე სამუდამოდ ყველას. ჩვენს გულში მუდამ იცოცხლებ, ჩვენს ფრთებქვეშ გაზრდილო, ჩვენო ერთადერთო, ძმაო, ზურა.

წამია წუთისოფელი,
თავი სიზმარში გვგონია,
გვენატრები და მოგტირით
ჟუჟუნა , ლია, სონია.
ჩვენს ხელში გაზრდილო,
ძმაო საფიცარო,
დაუვიწყარო და
მწარედ საფიქრალო.
შენს გარდა, გვითხარი:
-ვიფიქროთ, აბა რაზე?..
არავის აღარ გვუყვს
ზურა ქავთარაძე.
29 ივლისი გძულდა ძალიან,
ეს დღე გათენდა მწარე,
62 წლისამ სიცოცხლის
კარი გაიხურე მალე.
მოგტირის შენი ცოლ-შვილი,
იუავი კეთილი, სანდრო,
გნატრობენ შვილიშვილები:
-ზუკა, გვანცა და სანდრო.
დრო გადის, მაგრამ ძამიკო,
ჩენს გულში უფრო ძნელდები,
მოგტირიან დისშვილები,
დედოფლისწყარო, ქედები.
შენს იუმორს იხსენებენ,
მრავლად ქართულ სუფრაზე,
შესანდობარს სვამენ სევდით
ქავთარაძე ზურაზე.
21 თებერვალს თენდება
დაბადების დღე შენი,
უშენოდ ცხოვრება ძნელდება,
არაფერს არა აქვს ფერი.
ნათელში იუავი ჩვენო ერთადერთო,
გენთოს სულ წმინდა სანთელი,
სამოთხის სასუფეველი,
გქონდეს მუდამ ნათელი.

შენი დები

ლევან დავითაშვილი

20 თებერვალს შენი დაბადების დღეა, ლევან. ერთ დროს ყველაზე ბედნიერი, ახლა სევდითა და მწუხარებითაა სავსე.

წელს ამ დღეს მეორედ ავღნიშნავთ უშენოდ ცივ სამარესთან. ჯერ მხოლოდ 36 წლის გახდებოდი. ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა შენი სიცოცხლე. ულმობელია წუთისოფელი, სწორედ მაშინ გიმტყუნა ბედმა, როცა ყველაზე მეტად გინდოდა სიცოცხლე. დატოვე ამქვეყნიური ცხოვრება და დაგრჩა ბევრი აუხდენელი ოცნება. ერთმა საბედისწერო დღემ ყველაფერი შეცვალა. გული ტკივილს შეეჩვია, თვალი ცრემლს. ამბობენ დრო მკურნალიაო, მაგრამ შენი სიკვდილის დღეს გაიყინა ჟამთასვლა, ირგვლივ წყვდიადმა დაისადგურა. მაშ როგორ გამოდგება დრო მკურნალად? ამქვეყნად ვერაფერი მოაშუშებს შენი დაკარგვით მოყენებულ ჭრილობებს, ვერაფერი დაგვიბრუნებს უდროოდ შეწყვეტილ სიცოცხლეს. შენ ხომ სიკეთისთვის და სიყვარულისთვის იყავი დაბადებული, რომელსაც უანგაროდ აკეთებდი.

უკვდავი იქნება შენი სახელი ,რადგან დედამიწაზე დააბიჯებს შენი პატარა ძმისშვილი-ლევან დავითაშვილი, რომელიც დავაჟკაცდება და იამაყებს ბიძის სახელით.

შენი სანთელი მუდამ ანთია ჩვენს ოჯახში. 20 თებერვალს მოვალთ შენს სამუდამო სასუფეველთან, მოგიტანთ ყვავილებს, დაგინთებთ წმინდა სანთლებს. ვილოცებთ შენი გაუხარელი სულისთვის.

დაბადების დღეს გილოცავთ, ლევან. მშვიდად განისვენე იქ, სადც მართალნი განისვენებენ, ჩვენო მონატრებულო შვილო.

შენი ოჯახი

2018 წლის ნომინაციაში „საიმედო მომავალი“ გამარჯვებულები

გაზეთმა „საქართველოს ლირიკამ“ და საქველმოქმედო საზოგადოებამ „ამაგდარმა“ საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად გამოავლინა ნომინაციაში „საიმედო მომავალი“ გამარჯვებულები. ესენი არიან:

გურამ გონაშვილი – ფერმერი (დედოფლისწყარო)
ბიძინა გონაშვილი – ფერმერი (დედოფლისწყარო)
ხათუნა ბაბუხაძე – მხატვარი-დიზაინერი (გურჯაანი)
ნინო ზუბიაშვილი – დოქტორანტი (თბილისი)
მონიკა ჭანტურია – ჟურნალისტი (ბორჯომი)
ქეთი ცინცაძე – მევიოლინე (ქუთაისი)
თამარ ხვადაგიანი – მხატვარი (თბილისი)
გიორგი წამალაშვილი – ბარიტონი (თბილისი)
ნუცა ზაქაიძე – მეცოსოპრანო (თბილისი)
ნინო ჯაჭვაძე – სოპრანო (თბილისი)
მამუკა მამუკელაშვილი – ფერმერი (დედოფლისწყარო)

ნომინაციაში „საიმედო მომავალი“ 50-მდე წარმატებული ახალგაზრდა იყო წარდგენილი. ათეულში მოხვდნენ ასევე **ზურა მასურაშვილი** - ფერმერი (დედოფლისწყარო), **თემურ პოპიაშვილი** ვაშლოვანის ნაკრძალის თანამშრომელი (დედოფლისწყარო), თინათინ მამასტარაშვილი - მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი (ბორჯომი), ნიკა ნატროშვილი – ტენორი (თბილისი) და სხვები.

ნომინაციაში ბრენდ-პერსონა გამოვლინდა **ეგული ყოჩიაშვილი** – დამსახურებული პედაგოგი (დედოფლისწყარო), დაჯილდოების ცერემონია გაიმართება თბილისში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში 2018 წლის 29 აპრილს.

მისამართი: გუდიაშვილის ქ. №7.

ნანა ჭიჭინაძე

„ეს ჩვენი უფლებაა“...

13 თებერვალს, სასწავლო ცენტრ „სპექტრში“, არასამთავრობო ორგანიზაცია „ვეჟინის“ ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი ფემინიზმის თემაზე. ტრენინგს უძღვებოდა პროექტის - „ეს ჩვენი უფლებაა“- ხელმძღვანელი ლაურა ხარიტონაშვილი. მან წაიკითხა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა ქალსა და მამაკაცს შორის არსებული განსხვავებულობის ხაზგასმას და კაცის დომინანტობაზე აკეთებდა აქცენტს.

ბოლო წლების მანძილზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ქალთა ემანსიპაციის პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა, რამაც გენდერული თანასწორობის გაძლიერებას შეუწყო ხელი. მიუხედავად ამისა, როდესაც საკითხი ეხება განათლებას, დასაქმებას, შემოსავალს, სამსახურეობრივი პოზიციების გადანაწილებას და საზოგადოების დამოკიდებულებას — კაცებს უპირატესი პოზიციები უკავიათ. ასეთი გენდერული სტერეოტიპები თაობიდან თაობას გადაეცემა. ხშირია სიტუაციები, როდესაც დედებიც და მამებიც თავიანთ ვაჟებს ეუბნებიან: „შენ კაცი ხარ, ძლიერი და მამაცი უნდა იყო... რა გატირებს გოგო ხომ არ ხარ?!... შენმა ცოლმა უნდა დაგიჯეროს... თუ ვინმემ დაგარტყა, უპასუხე და ა.შ.“ ასეთი მასკულინური აღქმა და მესიჯები ზეწოლას ახდენს მოზარდ ბიჭზე და, თუ ის ასეთ გარემოში გაიზრდება, ის აუცილებლად შეეცდება საპირისპირო სქესთან მიმართებაში იყოს დომინანტი, ძლიერი და შეუპოვარი. თუმცა კაცი შეიძლება მოხვდეს ისეთ სიტუაციებში, სადაც თავის სიმამაცეს ვერ გამოიყენებს და თავს უძლურად იგრძნობს. რა მოხდება ასეთ შემთხვევაში? ” კაცი დაიწყებს საკუთარ სისუსტეზე ფიქრს და თავს არაადეკვატურად და ხელმოცარულად ჩათვლის, რის შედეგადაც ავტორიტეტის აღდგენას ძალის გამოყენებით შეეცდება. აქ მთავრდება ციკლი, რომელიც მშობლის მიერ შვილისთვის „ნამდვილი კაცის“ სტერეოტიპის შექმნით დაიწყო და მოძალადე კაცით დასრულდა. სამწუხაროდ, ეს ციკლი ხშირად მეორდება და მამის მხრიდან შვილს გადაეცემა, რაც

კულტურაში მასკულინობის ჰეგემონიას ამკვიდრებს. საქართველოში ეს კარგად ნაცნობი ფენომენია. გარდა სხვა სტერეოტიპებისა, არსებობს ცნება „ქართველი მამაკაცი,“ რაც ძლიერი, დომინანტი და ზოგჯერ აგრესიული კაცის სინონიმია. ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში კვლავ დიდია ძალადობის მსხვერპლ ქალთა რიცხვი: მოძალადე ქმარი ზოგს სიცოცხლეს ასალმებს, ზოგიერთის დაშინებას და დამონებას კი სხვადასხვა მეთოდით ცდილობს.

ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას ქალები იწყებენ. ისინი ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა მათაც შეუძლიათ და ეს მამაკაცებზე არანაკლებ გამოსდით. ამ მოძრაობამ უკვე რეგიონებში გადმოინაცვლა.

შეხვედრაზე მოწვეული ქალბატონები საკმაოდ აქტიურად ჩაებნენ საკითხის განხილვაში, რამაც განაპირობა ტრენინგის სადისკუსიო რეჟიმში გაგრძელება. დედოფლისწყაროელი ქალბატონები ინტერესით განიხილავდნენ ქალთა უფლებების შესახებ ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს, საუბრობდნენ ქალების მნიშვნელოვან როლზე ქვეყნის პოლიტიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაში. ისაუბრეს, ასევე, რეგიონის პრობლემებზე, მათ შორის, გარე ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

პროექტების საინფორმაციო მხარდაჭერა უზრუნველყვეს გაზეთებმა „გურჯაანმა“ და „შირაქმა.“

ინგა შიოლაშვილი

საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“ დედოფლისწყაროს განყოფილება

აცხადებს

აპლიკანტთა საგაზაფხულო მიღებას 2017-2018 სასწავლო წლისათვის შემდეგ პროგრამებზე:

1. **ტრაქტორისტ-მემანქანე- (მესამე დონე)**
2. **კალატოზი- (მესამე დონე)**
3. **თექის ოსტატი - (მესამე დონე)**
4. **ელექტრობა - (მესამე დონე)**
5. **ბუღალტრული აღრიცხვა – (მეხუთე დონე)**
6. **თმის სტილისტი -(მესამე დონე)**
7. **პრაქტიკოსი ექთანი-(მეხუთე დონე)**

ჩარიცხვა ხდება ტესტირების საფუძველზე კონკურსის წესით. სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. 2 ცალი ფოტო სურათი (ზომით 3x4)
2. პირადობის მოწმობის ასლი
3. განათლების მოწმობის ასლი დამოწმებული ნოტარიულად. განცხადება (ადგილზე შევსებით)

საბუთების მიღება დაიწყო! იჩქარეთ!

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ მოიბრძანდეთ კოლეჯში შემდეგ მისამართზე:

ქ. დედოფლისწყარო, სოფ. სამრეკლო (ყოფილი ჯაფარიძე)

ტელ: 577 557 159; 577 962 967

ყურადღება: სასწრაფოდ იყიდება!

სასოფლო-სამეურნეო, იგივე საკარმიდამო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა ნაგებობების ასაშენებლად. ფართობი: 999კვ.მ. **მისამართი:** დედოფლისწყაროს რაიონი, სოფ. ხორნაბუჯი, კოსტავას ქუჩა (რუსულ-ქართული სკოლის მიმდებარე ტერიტორია). მსურველებმა დარეკეთ **ტელეფონზე: 599 23 89 98.** ფასი შეთანხმებით.

ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება ოროთახიანი ბინა დიდი ლოჯიით, ავტოფარეხით დედოფლისწყაროში (ბენზინგასამართი სადგურის მოპირდაპირე მხარეს) რუსთაველის ქუჩა №4, კორპუსი 3, II-ე სადარბაზო, ბინა 9. ფასი შეთანხმებით.

მსურველები დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერზე 555 23 26 80.

ა მ ი ნ დ ი დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 19.02		სამშაბათი 20.02		ოთხშაბათი 21.02		ხუთშაბათი 22.02		პარასკევი 23.02		შაბათი 24.02		კვირა 25.02	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
3°	2°	2°	1°	4°	3°	5°	4°	7°	6°	5°	3°	7°	5°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქინქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.